ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 26 აგვისტო 2004 №197 (2218) ფასი 50 თეთრი


## გოჩა ძასოხოვის გინებამ კაზარიანის მრუდე მსაჯობა ვერ გაასწორა

### ბერძნულ-რომაული ლაშქრიდან რამაზ ნოზაძელა დაგვრჩა



ქართველებს მაინცდამაინც გულზე არასოდეს გვეხატებოდნენ მსაჯები, ამ ოლიმპიადის შემდეგ კი უფრო მეტი საბაბი გვიჩნდება, სკეპტიკურად განვეწყოთ მათ მიმართ. ყველაფრის მსაჯებზე გადაბრალება, თავისთავად, თავის მოტყუებაა, მაგრამ ამ ოლიმპიადაზე მათი სიმრუდის ბევრი სამხილი დაგვიგროვდა.

გუშინ ათენში საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა გოჩა ძასოხოვმა აკაკი ჩაჩუასა და ნურადინ კოიზაიგანოვის შეხვედრის მთავარ მსაჯს სახალხოდ აგინა. ჩაჩუამ საეჭვოდ წააგო ყაზახ მოჭიდავესთან. ამ ამბავში ნიშანდობლივი ისაა, რომ სომეხი არბიტრი სტეფან კაზარიანი ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარე გახლავთ და გუშინწინაც სწორედ ის სჯიდა ირაკლი ჭოჭუასა და უკრაინელი ალექსეი ვაკულენკოს შეხვედრას. ყველამ ვნახეთ, როგორ წააგო ჭოჭუამ.

ჩივილით და, მით უმეტეს, გინებით საქმეს ვერ ეშველება. ისლა დაგვრჩენია, დღეს ჩვენი ბოლო ბერძენ-რომაელი მოჭიდავის რამაზ ნოზაძის იმედად ვიყოთ.

## ქართული ფეხბურთი ზაფხულის მკვახე ყურძენია გაგვასინჯეთ სექტემბრის მწიფე!



ჩეხები ბრძოლას არც თბილისში აარიდებენ თავს

## დინამოზე დინამოსთვის

## დღ-ნა ღე!

## ლეგიამ თბილისს შავი კატა დაახვედრა



დავით ერაძე ვარშავიდან



გადაახტება თბილისი ვარშაველ კედელს?

# ATHENS 2004

ეროვნული ბიბლიოთეკა

ATHENS 2004 — ATHENS 2004

## 25 აგვისტო

ოქრო-ვერცხლი-ბრინჯაო

### პლაჟის ფრენბურთი

**კაცები**

1 რიკარდუ-ემანუელი (ბრაზილია)
2 ბოსმა-ერერა (ესპანეთი)
3 ჰიუშერი-კობერი (შვეიცარია)

### ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

**კაცები**

**55 კგ.**

1 იშტვან მაიოროში (უნგრეთი)
2 გეიდარ მამედალიევი (რუსეთი)
3 არტიომ კიოურეგქიანი (საბერძნეთი)

**66 კგ.**

1 ფარიდ მანსუროვი (აზერბაიჯანი)
2 სერეფ ეროღლუ (თურქეთი)
3 მხითარ მანუქიანი (ყაზახეთი)

**84 კგ.**

1 ალექსეი მიშინი (რუსეთი)
2 არა აბრაჰამიანი (შვედეთი)
3 ვიაჩესლავ მაკარენკო (ბელარუსი)

**120 კგ.**

1 ხასან ბაროევი (რუსეთი)
2 გიორგი წურწუმია (ყაზახეთი)
3 რულონ გარდნერი (აშშ)

### მძლეოსნობა

**ქალები**

**200 მ.**

1 ვერონიკა კემპბელი (იამაიკა) 22,05 წმ
2 ელისონ ფელიქსი (აშშ) 22,18
3 დები ფერგიუსონი (ბაჰამები) 22,30

**400 მ. თარჯრბენი**

1 ფანი ჰალკია (საბერძნეთი) 52,82 წმ
2 იონელა ტირლეა-მანოლაჩე (რუმინეთი) 53,38
3 ტატიანა ტერეშჩუკ-ანტიპოვა (უკრაინა) 53,44

**უროს ტყორცნა**

1 ოლგა კუზნეცოვა (რუსეთი) 75,02 მ
2 იფსი მორენო (კუბა) 73,36
3 იუნაიკა კროუფორდი (კუბა) 73,16

### ძალოსნობა

**კაცები**

**105 კგ.**

1 ჰუსეინ რეზა-ზადე (ირანი) 472,5 კგ
2 ვიქტორ შერბატიხი (ლატვია) 455,0
3 ველიჩკო ჩოლაკოვი (ბულგარეთი) 447,5

### ბეისბოლი

**კაცები**

1 კუბა
2 ავსტრალია
3 იაპონია

### ტრიატლონი

**ქალები**

1 კეიტ ალენი (ავსტრია) 2:04.43,45 სთ
2 ლორეტა ხეროპი (ავსტრალია) 2:04.50,17
3 სიუზან უილიამსი (აშშ) 2:05.08,92

### ცხენოსნობა

**ქალები და კაცები**

**გახედვნა. პირადი პირველობა**

1 ანკე ვან გრიუნსვენი (ჰოლანდია) 79,278
2 ულა ზალცგებერი (გერმანია) 78,833
3 ბიატრის ფერე-სალატი (ესპანეთი) 76,667

### ველოტრეკი

**კაცები**

**„მედისონი“**

1 ავსტრალია
2 შვეიცარია
3 დიდი ბრიტანეთი

**„კეირინი“**

1 რაიან ბეილი (ავსტრალია)
2 ხოსე ესკურედო (ესპანეთი)
3 შონ კელი (ავსტრალია)

**ქალები**

**რბოლა ქულებზე**

1 ოლგა სლიუსარევა (რუსეთი)
2 ბელემ გერერო მენდესი (მექსიკა)
3 მარია ლიზა კალე უილიამსი (კოლუმბია)

### სინქრონული ცურვა

**წყვილები. თავისუფალი პროგრამა**

1 რუსეთი
2 იაპონია
3 აშშ

### აფროსნობა

**კაცები**

**„მისტრალი“**

1 ნიკ დემფსი (დიდი ბრიტანეთი)
2 გალ ფრიდმანი (ისრაელი)
3 იუანჯუო ძიუ (ჩინეთი)

**ქალები**

**„მისტრალი“**

1 ძიან ინი (თინეთი)
2 ფაუსტინ მერე (საფრანგეთი)
3 ლაი შან ლი (ჰონკონგი)




REUTERS

ჰუსეინ რეზა-ზადემ ირანს პირველი ოქრო მოუტანა

### მედლების დაფა

| | | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | აშშ | 25 | 29 | 22 | 76 |
| 2 | ჩინეთი | 24 | 16 | 12 | 52 |
| 3 | ავსტრალია | 16 | 11 | 15 | 42 |
| 4 | იაპონია | 15 | 9 | 10 | 34 |
| 5 | რუსეთი | 14 | 19 | 21 | 54 |
| 6 | საფრანგეთი | 10 | 7 | 9 | 26 |
| 7 | გერმანია | 9 | 11 | 13 | 33 |
| 8 | იტალია | 8 | 6 | 8 | 22 |
| 9 | რუმინეთი | 8 | 5 | 4 | 17 |
| 10 | უკრაინა | 8 | 3 | 7 | 18 |
| 11 | დიდი ბრიტანეთი | 7 | 8 | 9 | 24 |
| 12 | ს. კორეა | 6 | 10 | 5 | 21 |
| 13 | საბერძნეთი | 6 | 3 | 3 | 12 |
| 14 | ჰოლანდია | 4 | 7 | 8 | 19 |
| 15 | უნგრეთი | 4 | 6 | 1 | 11 |
| 16 | შვედეთი | 3 | 1 | 2 | 6 |
| 17 | თურქეთი | 3 | 1 | 1 | 5 |
| 18 | კანადა | 2 | 4 | 1 | 7 |
| 19 | ბელარუსი | 2 | 3 | 7 | 12 |
| 20 | კუბა | 2 | 2 | 7 | 11 |
| 21 | პოლონეთი | 2 | 2 | 4 | 8 |
| 22 | სლოვაკეთი | 2 | 2 | 1 | 5 |
| 23 | ბულგარეთი | 2 | 1 | 6 | 9 |
| 24 | ბრაზილია | 2 | 1 | 2 | 5 |
| 25 | ეთიოპია | 2 | 1 | 1 | 4 |
| 26 | საქართველო | 2 | 1 | 0 | 3 |
| 27 | ტაილანდი | 2 | 0 | 2 | 4 |
| 28 | ჩილე | 2 | 0 | 1 | 3 |
| 29 | ახალი ზელანდია | 2 | 0 | 0 | 2 |
| 29 | ნორვეგია | 2 | 0 | 0 | 2 |
| 31 | ესპანეთი | 1 | 9 | 4 | 14 |
| 32 | ავსტრია | 1 | 4 | 1 | 6 |
| 32 | კენია | 1 | 4 | 1 | 6 |
| 34 | ჩეხეთი | 1 | 3 | 3 | 7 |
| 35 | ინდონეზია | 1 | 1 | 2 | 4 |
| 35 | სამხრეთ აფრიკა | 1 | 1 | 2 | 4 |
| 35 | შვეიცარია | 1 | 1 | 2 | 4 |
| 38 | ზიმბაბვე | 1 | 1 | 1 | 3 |
| 39 | ლიტვა | 1 | 1 | 0 | 2 |
| 39 | მაროკო | 1 | 1 | 0 | 2 |
| 41 | დანია | 1 | 0 | 5 | 6 |
| 42 | ბელგია | 1 | 0 | 2 | 3 |
| 42 | აზერბაიჯანი | 1 | 0 | 2 | 3 |
| 44 | ბაჰამები | 1 | 0 | 1 | 2 |
| 44 | იამაიკა | 1 | 0 | 1 | 2 |
| 44 | ისრაელი | 0 | 0 | 1 | 2 |
| 47 | საამიროები | 1 | 0 | 0 | 1 |
| 47 | კამერუნი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 47 | ირანი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 50 | ჩრდ. კორეა | 0 | 3 | 1 | 4 |
| 51 | ხორვატია | 0 | 2 | 2 | 4 |
| 51 | ყაზახეთი | 0 | 2 | 2 | 4 |
| 53 | პორტუგალია | 0 | 2 | 1 | 3 |
| 54 | ლატვია | 0 | 2 | 0 | 2 |
| 54 | მექსიკა | 0 | 2 | 0 | 2 |
| 56 | სლოვენია | 0 | 1 | 3 | 4 |
| 57 | ესტონეთი | 0 | 1 | 2 | 3 |
| 58 | ტაივანი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 59 | ფინეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 59 | ჰონკონგი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 59 | სერბეთ-ჩერნიგორია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 59 | ინდოეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 63 | არგენტინა | 0 | 0 | 2 | 2 |
| 63 | კოლუმბია | 0 | 0 | 2 | 2 |
| 65 | მონღოლეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 65 | ტრინიდადი და ტობაგო | 0 | 0 | 1 | 1 |
| 65 | ერიტრეა | 0 | 0 | 1 | 1 |
| 65 | ვენესუელა | 0 | 0 | 1 | 1 |

# ნოზაძეღა შეგვრჩა

## წურწუმიამ ყაზახეთი მოვერცხლა



ბერძენ-რომაელებში რამაზ ნოზაძის იმედიღა დაგვრჩა



ყაზახეთის სახელით მოჭიდავე გიორგი წურწუმიამ ვერცხლის მედალი ირგუნა

**პირველი** ოლიმპიური მედალი გუშინ ქართველმა ბერძნულ-რომაულად მოჭიდავემაც იზეიმა, მაგრამ საქართველოს ნაკრებს ამით არაფერი შემატებია. ყაზახეთის დროშით მოჭიდავე გიორგი წურწუმიამ ფინალს უწია, იქ კი რუს ხასან ბაროევთან დამარცხდა და საზღვარგარეთ წასულ ქართველთა არაოფიციალურ ჯამურ მონაგარს თავისი წილი ვერცხლიც შემატა, რითაც საქართველოს ოფიციალური გუნდის მედლებს გადააჭარბებინა. ჯგუფურ ტურნირში მირიან გიორგაძისგან ძლეულმა წურწუმიამ ნახევარფინალში დიდი კარელინის წამქცევ ამერიკელს რულონ გარდნერს ჩამოაშვებინა ხელები.

დღეს წარმატებულ უცხოელ ქართველებში გარევას უზბეკეთის სახელით მოჭიდავე ალექსანდრე დოხტურიშვილი (74კგ) შეეცდება. იგი ნახევარფინალშია და კვარცხლბეკზე ასასვლელად დარჩენილ ორ ბრძოლაში ერთის მოგებაც ეყოფა.

ბეგი დარჩიას გუნდის ორ დარჩენილ მოჭიდავესაც რომ წინა ოთხეულივით ეჭიდავა, დღეისთვის საგულშემატკივრო მხოლოდ დოხტურიშვილი დაგვრჩებოდა, მაგრამ რამაზ ნოზაძემ გვიხსნა. ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა წევრმა ქვეჯგუფში გერმანელი მირკო ენგლიჩი დაამარცხა, შემდეგ მას გაუკრაინელებული დავით სალდაძეც მიაყოლა და მეოთხედფინალის საგზური გაინაღდა. იქ დღეს კიდევ ერთ საქართველოდან წასულს, რუსეთის ნაკრების ერთ-ერთ იმედს გოგი კოლუაშვილს დაეჭიდება.

96 კილოგრამში სულ ოთხი ქართველი შეიყარა და თუ საქმე ჩვენდა სასიკეთოდ წავიდა, ეგებ ნახევარფინალში რამაზმა სრული ქართული კომპლექტიც შეაგროვოს.

ნახევარფინალში მისი პოტენციური მეტოქე ყირგიზეთის სახელით მოჭიდავე გენადი ჩხაიძეა.

მშვენივრად დაიწყო ათენური გამოსვლა სიდნეის ბრინჯაოსანმა აკაკი ჩაჩუამაც. პირველ ჯგუფურ შეხვედრაში სულ რაღაც ოთხი წუთი დასჭირდა იტალიელ პაოლო ფუცილესთან ათქულიანი უპირატესობის მოსაპოვებლად, მაგრამ აპენინელს ყაზახმა ნურდან კოიზაიგანოვმაც ადვილად აჯობა და გადამწყვეტი გამოდგა ქართულ-ყაზახური ბრძოლა. სამწუხაროდ, ჩაჩუამ 6:7 წააგო და მეოთხედფინალს დაემშვიდობა.

ოთხი წონის ფინალებში სამში რუსები გავიდნენ და ორმა იჩემპიონა კიდეც. 84 კილოგრამში ალექსეი მიშინმა 9 წუთში გაფრთხილებებში მიღებული უპირატესობით აჯობა შვედთა სომეხ ლიდერ არა აბრაჰამიანს, ხოლო 120-კილოგრამიანმა ხასან ბაროევმა წურწუმიას 4:2 მოუგო.

გეიდარ მამედალიევისა (55კგ) და უნგრელი იშტვან მაიოროშის შეხვედრაც დამატებით დროში გაგრძელდა, თუმც რუსებს ამ შემთხვევაში არ გაუმართლათ, მაიოროშმა რვა წამში მომგებიანი ილეთი შეასრულა.

ერთადერთი არარუსული ფინალი 66 კილოგრამში შედგა. კვირკველიას გამწარებელი თურქი სერიფ ეროღლუ ბევრს კი ეცადა, მაგრამ აზერბაიჯანელ ფარიდ მანსუროვს ვერა დააკლო, 3:4 წააგო და ოქროს დაკარგვა ნიანგის ცრემლებითაც დაასვლა.

ოთარ მაღლაკელიძე

---

ავთანდილ გურასაშვილი

ათენიდან



# მსაჯო, შენი...

## გოჩა ძასოხოვმა სომეხი არბიტრისკენ გაიწია

ათენში ბერძნულ-რომაულად მოჭიდავეთა ტურნირის დაწყებამდე ერთი უცნობი კოლეგა ამეტორღიალა. ერთხანს აქეთ-იქიდან მიტრიალა, მერე კი გამომეცნაური. სომხეთიდან ყოფილა, თუმცა ამას დიდი მიხვედრა არც ჭირდებოდა. ჰოდა, მოვიდა ეს კაცი და მეუბნება: „ვა, თქვენ რა მაგრები ხართ, ორი ოქროს მედალი გაქვთ და ერთიც ვერცხლისა, ჩვენ კი ცარიელ-ტარიელზე ვზივართ. ახლა ჭიდაობები დაიწყება და თქვენ ვინღა დაგეწევათ?“

ეს ისე მითხრა, როგორც ბავშვებმა იციან, შენ რა ბევრი კანფეტი გაქვს, ცოტა მეც მომეციო.

დალახვროს ეშმაკმა, ეს ცუდად მენიშნა...

სომეხი კოლეგის ნათქვამი გუშინ საღამოს გამახსენდა, როცა ჩვენი სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი აკაკი ჩაჩუა (60 კგ) ყაზახ ნურდან კოიზაიგანოვთან 6:7 დამარცხდა თუ დაგვიმარცხეს.

ვითარება ჭიდაობის დაწყებიდან წუთისა და 32 წამის მერე დაიძაბა. სწორედ ამ დროს ორივე მეტოქემ რაღაც წამებში ელვისებური ილეთები და კონტრილეთები განახორციელა, რასაც მსაჯთა ხანგრძლივი თათბირი და ვიდეოჩანაწერის წინ და უკან ტრიალი მოჰყვა. ბოლოს ჩაჩუას ილეთები 3 და 2 ქულად შეაფასეს, მის მეტოქეს კი ერთბაშად 2, 1, 2, 1 ქულა მიუთვალეს, რამაც ქართველი ქომაგები აღაშფოთა. მერე მეტოქეებმა კიდევ თითო ქულა აიღეს და, რაკი ჩვენებური წაგებული დარჩა, საქართველოს მოჭიდავეთა უფროსმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ მსაჯის გადაწყვეტილება ირონიული ტაშით შეაფასა, ჩვენი ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა გოჩა ძასოხოვმა კი აღშფოთება განრისხებით შეცვალა. შეცვალა და ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც იმავდროულად უშუალოდ ჩაჩუას ჭიდაობაზე მსაჯთა ბრიგადას მეთაურობდა, როგორც იტყვიან, კარგა გემრიელად და მამაპაპურად „დალოცა“. სომეხი მსაჯი იქიდან წამოხტა და, არ ვიცი, რით დამთავრდებოდა ეს ყოველივე, მათ შორის რკინის ვეება მოაჯირი რომ არ ყოფილიყო.

რაც შეეხება ოფიციალურ პროტესტს, ეს არავინ მილო, რადგან ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციას ოლიმპიადაზე მსგავსი გამოხატულებები აუკრძალია.

არადა, ჩაჩუას ჭიდაობამდე იგივე სურათი იყო ჭოჭუას გამოსვლაზეც და იქაც მაგიდის მსაჯებს სტეფან კაზარიანი „დირიჟორობდა“.

ყოველივე ამაზე გამახსენდა თბილისში ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის რაფაელ მარტინეტის სტუმრობა, რომელმაც დაგვამშვიდა, ათენში თქვენს მაგივრად მე ვერ ვიჭიდავებ, მაგრამ იმის პირობას კი გაძლევთ, რომ ოლიმპიადაზე ობიექტური მსაჯობა იქნებაო.



საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა გოჩა ძასოხოვმა ამდენი უსამართლობა ვეღარ აიტანა

ვინ იცის, რა იქნება მომავალში, მანამდე კი დაზაფრული ჩვენი თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ერთ-ერთი მწვრთნელი გია გალდავა გვესაუბრა.

გალდავა ბერძნულ-რომაულად მოჭიდავეთა გუშინდელ ტურნირსაც ესწრებოდა, საიდანღაც ტრიბუნისკენ კენწეროში მჯდომს თვალი მოვკარი და მასთან ავირბინე.

„თუ ასე გაგრძელდა, დავიღუპეთ და ეგაა — მეუბნევა შეწუხებული გალდავა — ხვალ ჩვენი ნოზაძე რუსების კოლუაშვილს ხვდება. კოლუაშვილი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონია, ოლიმპიადის ჩემპიონი კი აქამდე ვერა და ვერ გახდა. ნოზაძესთან ისიც თავს მოიკლავს და რუსების დელეგაციის მეთაურობაც. თუ მსაჯობა ასე გაგრძელდა, ვეღარც ნოზაძეს უშველის ვინმე, ვეღარც ჩვენ. მთელი ოთხი წლის შრომა, ოფლისღვრა და დახარჯული ფული წყალში გადაგვეყრება.“

თუმცა, იქნებ არც მთლად ასეა საქმე — აქ მსაჯთა გამრიგე სომეხია კია, მაგრამ დღეს აზერბაიჯანელი ფარიდ მანსუროვი 66 გილოგრამში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა...



სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი აკაკი ჩაჩუა მსაჯებმა ათენში დაგვიჩაგრეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლეოსნობა

# ესეც ბიჭი!

## ჰიშამ ელ გერუჯი მეორედ დაიბადა




REUTERS ათენიდან

გუშინწინ დიდი ამბები დატრიალდა ათენის ოლიმპიურ სტადიონზე, რომელიც ეს რამდენიმე დღეა, მძლეოსნებს დაუპყრიათ და ოლიმპიადის ბოლო დღემდე არ აპირებენ მთავარი სარბიელის დათმობას.

ლეგენდარული ჰიშამ ელ გერუჯით დავიწყოთ, რომელსაც მთელი ცხოვრება სხვებზე წინ ურბენია ურთულესი 1 500-მეტრიანი დისტანცია, მაგრამ ოლიმპიური ჩემპიონი არასდროს გამხდარა. 1996 წელს ატლანტას ოლიმპიადაზე ის დაეცა, ხოლო 2000 წელს სიდნეიში მას ყველასთვის მოულოდნელად კენიელმა ყმაწვილმა ნოა ნგენიმ ზედ ფინიშზე ააცალა ოქრო. ან ახლა ან არასდროსო, ამბობდა ათენში ჩამოსვლამდეც და ჩამოსვლის შემდეგაც მაროკოელი მორბენალი და 24 აგვისტოს მოიგო კიდეც სანუკვარი ტიტული.

ელ გერუჯი დაახლოებით 800 მეტრის გარბენის შემდეგ გაიჭრა და მდევრებს ფეხის აჩქარება აიძულა. ზოგმა ვერ გაუძლო მაროკოელის ტემპს, ერთი-ორმა თითქმის გაუძლო. კენიელი ბერნარდ ლაგატი თითქმის ბოლომდე კუდში მიჰყვებოდა მას, მაგრამ გასწრება ველარ შეძლო და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

არადა, ეს სეზონი ლაგატისა უფრო იყო ვიდრე ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონი და მსოფლიოსავე რეკორდსმენი მაროკოელის. ელ გერუჯმა კენიელთან წლეულს ორი პრინციპული გარბენი წააგო, ორივე ოქროს ლიგის სერიაში — ციურიხსა და რომში. თანაც ლაგატმა აჩვენა სეზონის საუკეთესო დრო — 3 წუთი და 27,40 წამი, რაც მხოლოდ 1,4 წამით ჩამორჩება გერუჯის მსოფლიო რეკორდს.

მაგრამ ათენში ჰიშამმა ყველა კითხვას უპასუხა. ლაგატმაც ყოველგვარი ნაძალადევი ზრდილობიანობის გარეშე აღიარა — ის ყველა დროის საუკეთესო მორბენალია 1 500 მეტრზეო.

გერუჯი კი სარბენ ბილიკზე ფრენის შემდეგ მეცხრე ცაზე დაფრინავდა — უბედნიერესი კაცი ვარ, თავს სამი თვის ბავშვივით ვგრძნობო.

24 აგვისტომ მსოფლიო რეკორდის გარეშეც არ ჩაიარა. რეკორდი, რა გასაკვირია და, ქალთა ჭოკით ხტომაში დამყარდა, სადაც ორი რუსი მეჭოკე სვეტლანა ფეოფანოვა და ელენა ისინბაევა, მთელი წელია, ლამის კვირაგამოშვებით ართმევენ ერთმანეთს მსოფლიო რეკორდებს. რუსებს მხოლოდ ერთმანეთის შიში ჰქონდათ, რაკი სიდნეის ჩემპიონი, ამერიკელი სტეისი დრაგილა საკვალიფიკაციო თამასას ვერ გადაევლო და ჭოკი რუსებს შეატოვა. ამათაც დანარჩენი მეჭოკე გოგონები სადღაც ქვემოთ დატოვეს და დავა ერთმანეთში გააჩაღეს. იმ დღეს ისინბაევა აშკარად უკეთ ხტოდა, იოლად გადალახა 4,5-მეტრიანი სიმაღლე. მართალია, შემდეგ 4,75-მეტრიანი ცდა გაუფუჭდა, მაგრამ მიჰყვა და ერთი მეორის მიყოლებით იფრინა 4,80, 4,85 და 4,91 მეტრის თამასებზე. ეს ბოლო შედეგი ერთი სანტიმეტრით მაღალია მისივე მსოფლიო რეკორდზე. აქვე ითქმის, ისინბაევამ წლეულს მეშვიდედ (!) გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი.

ისინბაევა და ფეოფანოვა ერთმანეთში არ მეგობრობენ, პირიქით ცხოვრებაში თუ არა, სარბიელზე მაინც ქიშპობა უწევთ და ფეოფანოვამაც არ იკადრა დათმობა. რამდენიმე უხეირო ცდის მიუხედავად მანაც 4,91 მეტრზე გაადებინა თამასა, მაგრამ ველარ გადაევლო და 4,75-მეტრიანი შედეგით ვერცხლის მედალიღა შერჩა.

თარჯების ლაწა-ლუწით დაწყებული 100 მეტრი თარჯრბენი ასევე დაასრულეს ხტუნია გოგონებმა. წინა დღეს კლანჭებიანი ბებერი ავაზა გეილ დივერსი წაეჯახა თარჯს და, რა თქმა უნდა, ფინალს გამოაკლდა. გუშინწინ კი ფინალში ბარიერებმა მსოფლიოს კანადელი ჩემპიონი პერდიტა ფელისიენი იმსხვერპლა. პერდიტამ თავიდანვე ცუდად დაიწყო, პირველივე თარჯს წამოედო და წაბორძიკებულმა რუსი ირინა შევჩენკოც ააყირავა. ბევრი იტირა კანადელმა, მერე არბიტრსაც შეეკამათა, მაგრამ რაღას იზამდა, ოლიმპიადა ახლობლების მკლავებში აცრემლებულმა დაასრულა.

ოქრო კი ამერიკელ იოანა ჰეიესს დარჩა, ვინაც ფინიში 12,37 წამში გადაკვეთა და 0,08 წამით აჯობა უკრაინელ ოლენა კრასოვსკას.

3 000 წინაღობებით გართულებული მეტრი ყოველთვის კაფანდარა და გამძლე კენიელების სახელობად ითვლებოდა და ამათაც შიდაკენიურ დავაში არავინ გარიეს — სამივე მედალი მათ დარჩათ. გვარები ალბათ ბევრს არაფერს გეტყვით, მაგრამ მაინც ჩამოვთვალოთ კენიური სამეული: ეზეკილ კემბოი (8:05,81 წუთი), ბრამინ კიპრუტო (8:06,11), პოლ კიპსელე კოეჩი (8:06,64).

**კოტე ყორშია**



REUTERS ათენიდან

პერდიტა ფელისიენს ათენი ტკივილით გაახსენდება




REUTERS ათენიდან

ირინა კორჟანენკოს სიხარული ჩაუმწარდა

# დათვს რას წაართმევ?!

## დოპინგზე ჩავარდნილი რუსი მედალს არ აბრუნებს

**ჟაკ როგის** მიერ სპორტისდა სასიკეთოდ დაგებულ დოპინგ-მახეებში რომ მრავალი გაება, ცნობილი ამბავია. რუსული არმიის ლეიტენანტს, ამხანაგ ირინა კორჟანენკოს რომ ჩამოართვეს ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული, ესეც მოგეხსენებათ. ამ ქალმა (თურმე დოპინგის დახმარებით) ბირთვი 21 მეტრს გადააცილა, მაშინ, როცა სხვებმა 20 მეტრს ვერ უწიეს და რუსს ოქროს მედალიც მიართვეს.

ათენის „გმირს" თვით „ძლევამოსილი და მუდამ მშვიდობისათვის მებრძოლი" რუსული არმიის თავკაცმა სერგეი ივანოვმაც კი მიულოცა, თუმცა მალე დოპინგის ამბავი გასკდა, ზორბა ირას ტიტული ჩამოართვეს და გამარჯვებულად კუბელი იუმილეიდი ქუმბა ცნეს. ამას რუსის სამუდამო დისკვალიფიკაცია მოჰყვა, რადგან კორჟანენკო მამაძაღლობაზე უკვე მეორედ დაიჭირეს.

დარჩა ერთი ფორმალობა — სპორტსმენმა ოქროს მედალი უნდა დააბრუნოს და მის კანონიერ მფლობელს, კუბელ ქუმბას უნდა გადასცენ, მაგრამ... ფორმალობა უძახე და რუსი დედაკაცი მედალს არ აბრუნებს. ამბობს, ჩემს ძმას უკვე რუსეთში გავატანე და აწი თავში ქვა გიხლიათო. აი, ასე...

მარტო წართმევაზეა ეს ხალხი... შენსას გართმევს და ერთხელ თუ რაღაც ტორებში მოიგდო რუსულმა დათვმა, იმას რაღას დათმობს.

**ლადო ჟულუკიძე**

# მოშარდვაც პრობლემაა

## ფაზეკაშს აქნევინეს და უქნეს

**უნგრელი** ბადროს მტყორცნელი რობერტ ფაზეკაში დოპინგ-შარში გაეხვა. მას შემდეგ, რაც ოქროს მედალი მოიპოვა, ჩვეულებისამებრ დოპინგკონტროლზე გააქნეს და იქ დაიწყო მისი ტანჯვა. ვერა და ვერ შეძლო ამ კაცმა, საჭირო ნაოდენობით მოეშარდა. ნერვიულობს ალბათ ექიმების თანდასწრებითო — განაცხადა უნგრეთის ნაკრების წარმომადგენელმა. წესდების თანახმად, ვერმოშორდევა ტესტისათვის თავის არიდებად ფასდება. საინტერესოა, იქნებ კაცს უბრალოდ არ უნდა და მაშინ რაღა ქნას? თურმე ეს პრობლემა არაა. ფაზეკაშს შესთავაზეს, ექიმებს ოლიმპიური სოფლის პოლიკლინიკაში გაჰყოლოდა, სადაც არის იმის საშუალება, რომ ასეთ შემთხვევაში ადამიანს დაეხმარონ. ამაზე კი უარი თქვა სპორტსმენმა, რაც უკვე საეჭვოა... ბოლოს როგორც იქნა, ინება და ჩააბარა ანალიზი, მაგრამ შემდეგ ქილების შეცვლა სცადა, რაზეც წაასწრეს კიდეც და მისი ოლიმპიური ჩემპიონობის ბედიც გადაწყდა.

**ლადო ჟულუკიძე**

ნიჩბოსნობა

# ტაქსის შოფრები ჯიგრები არიან

**სანერვიულო** ამბავი შეემთხვა ჰოლანდიელ ნიჩბოსან საიმონ დიდერიკს. შრომითა და ოფლისღვრით მოპოვებული ვერცხლის მედალი ტაქსში დარჩენია და სასწრაფოდ განცხადებაც დაწერა, ასე და ასე შემემთხვაო.

პატიოსანი კაცი აღმოჩნდა იოანის ზავოსი, უბრალო ათენელი ტაქსის მძღოლი. მას მანქანა გადაუჩხრეკია, დაკარგული ვერცხლის მედალი უპოვია და პატრონისთვის ჩაუბარებია.

ოლიმპიადის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, ამ კაცს განსაკუთრებული პატივი სცენ, ოღონდ რაში გამოიხატება ეს პატივისცემა, უცნობია. ერთი კია — ნაღდად დაიმსახურა.

**ლადო ჟულუკიძე**

# სან ანტონიომ სანიკიძეს წელსქვემოთ არ დაარტყა

## დადე ბურთი და წადი კინოში



**„რაც რამ პრემიერა გამოვიდა ამ სან ანტონიოში, არ გამიცდენია. რაც აქ ყოფნაში კინოფილმი ვნახე, მგონი, ცხოვრებაში არ მინახავს" — ვიქტორ სანიკიძემ ეს სევდანარევი სიტყვები გუშინ სან ანტონიოდან გვითხრა. გრეგ პოპოვიჩის გუნდის მიერ დრაფტზე 42-ე ნომრად არჩეული სანიკიძე სანანტონიოელებმა თავისთან იწვიეს, მაგრამ მისი საქმეში ნახვას მუხლების ტრავმის გამო ვერ ახერხებენ. ორი კვირაა, სანიკიძე იქაა და მუხლებმტკივანი „სფურზის" სპორტულ დარბაზებში მხოლოდ ტრენაჟორებზე კაჟდება. შესაბამისად, თავისუფალი დროც ბლომად აქვს და ხან კინოთეატრშია და ხან რესტორანში. მან მთელი გუნდის ხელმძღვანელობა ოჯახებით გაიცნო, ვიქტორს ხან მწვრთნელი ეპატიჟება რესტორანში და ხან გუნდის რომელიმე ადმინისტრატორი...**

— ჩამოვფრინდი თუ არა, პირდაპირ ექიმთან გამაქანეს. აეროპორტში ის კაცი დამხვდა, რომელიც სარაგოსაში ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატზე იყო ჩემს სანახავად ჩამოსული. სასტუმროში დამაბინავეს და ეგრევე „სან ანტონიოს" საექიმო კაბინეტში წამიყვანეს. გამოკვლევის შემდეგ ექიმმა ვარჯიში — უფრო სწორად, მუხლების დატვირთვა ამიკრძალა, თორემ ტრენაჟორებზე წელსზემოთა კუნთებს ახლაც ვავარჯიშებ.

— **გამოდის, ბურთს არ გაკარებიხარ...**

— სამწუხაროდ, არა. ამერიკელები ხომ იცი, რა მოწესრიგებულები არიან და მიუხედავად იმისა, ძალიან სურდათ ჩემი თამაშის ნახვა, მტკივანი მუხლების ამბვია რომ გაიგეს, ბურთს არ გამაკარეს. ვთხოვე, ორი წუთით მაინც შემიშვით დარბაზში, ერთ-ორს ჩავტენი და ვესვრი-მეთქი, მაგრამ არაფრით ქნეს, მუხლებს მიხედე და მაგის დროც მოვაო.

— **მაშ რა გამოვიდა, რისთვის ჩახვედი სან ანტონიოში?**

— რა თქმა უნდა, ჩემი აქ ჩამოსვლის მთავარი მიზანი ვარჯიში და საკუთარი შესაძლებლობების სანანტონიოელთათვის ჩვენება იყო, მაგრამ რას ვიზამ, ჯობს ჯანმრთელობას მივხედო, თორემ „სან ანტონიოც" უკან დამრჩება და მასთან ერთად „დიჟონიც".

— **შენი მუხლების ამბავი რომ გაიგეს, სანანტონიოელები უკმაყოფილონი ხომ არ დარჩნენ?**

— არა, რის უკმაყოფილონი, პირიქით, რა კარგი ქენი, რომ ჩამოხვედიო. შეიძლებოდა, მაგ მუხლების დიაგნოზი ევროპაში სათანადოდ ვერ დაესვათ და ჯანმრთელობა კიდევ უფრო წაგეხდინაო. ახლა ყველაფერი ზედმიწევნითაა გამოკვლეული და სანამ რეაბილიტაციის სრულ კურსს არ გაივლი, მოედანზე ვერ გახვალო.

— **მკურნალობის კურსს მანდ გადიხარ?**

— ისეთი სახის ტრავმა მაქვს, რომ ჯერჯერობით დასვენება სჭირდება. წამოსვლისას კიდევ ერთხელ გამოიკვლევენ ჩემს მუხლებს და თუ უკეთესობას ვერ დაინახავენ, მერელა დამინიშნავენ მკურნალობას.

— **თუ ბურთთან არ ხარ, სხვას რას აკეთებ?**

— ვვარჯიშობ, ოღონდ, როგორც გითხარი, ტრენაჟორებზე. „სან ანტონიოს" მწვრთნელებმა სპეციალური სავარჯიშო პროგრამა შემიდგინეს და ორი კვირაა, ამის მიხედვით ვემზადები.

— **ტრენაჟორებზე ვარჯიშმა ჰა, ჰა, 2 საათი წაიღოს...**

— ჰო, ეგაა და თავისუფალი ვარ მთელი დღე. თანაც, ტრენაჟორებზე დილაობით ვვარჯიშობ, მერე კი...

— **„სან ანტონიოს" ბაზაზე ცხოვრობ?**

— არა, ქალაქის ცენტრში, სასტუმროში დამაბინავეს. „სან ანტონიოს" ბაზა ცენტრიდან მოშორებითაა და დილაობით მანქანა მაკითხავს ხოლმე.

— **მანქანაც გემსახურება?**

— არა, კლუბში მომუშავე ორი ახალგაზრდა ბიჭი გავიცანი, რომლებსაც ძალიან დავუახლოვდი და რაღა ტაქსებით იაროო, ხან ერთი მაკითხავს და ხან მეორე. ისე, მართვის მოწმობა რომ მქონოდა, მეც მომცემდნენ მანქანას. ბაზის ავტოსადგომზე რა მოდელი არ გინდა ნახო — „ჰამერი", „შევროლე", „ჯიემსი" — მითხრეს, რომელშიც გინდა ჩაჯექი, ტრანსპორტით სიარულით გაიტანჯებიო.

— **კლუბის წარმომადგენლებიდან ვინ გაიცანი?**

— ყველა, გარდა გრეგ პოპოვიჩისა, რომელიც ახლა საბერძნეთშია ოლიმპიადაზე. „სან ანტონიოს" პრეზიდენტს ერთხელ შევხვდი, ის კლუბის ყოველდღიურ მუშაობაში თითქმის არ ერევა. თანაშემწეები, იცოცხლეთ, ბევრი ჰყავს და მეც მათთან და გუნდის მწვრთნელებთან მიწევს ურთიერთობა.

— **მოთამაშეები ალბათ შვებულებაში არიან...**

— ყველა შვებულებაშია, მაგრამ ბაზაზე ყოველთვისაა ვინმე. ახალგაზრდები თითქმის ყველა აქაა, ცნობილთაგან კი ჯალენ როუზი და დევინ ბრაუნი გავიცანი, როუზს უფრო დავუახლოვდი, რამდენჯერმე რესტორანშიც ვიყავით ერთად.

— **რესტორნებში სიარულს ფული უნდა...**

— მაგის ფული ყოველთვის მაქვს. „სან ანტონიოს" ადმინისტრაციაში მითხრეს, გვითხარი, რამდენი გინდა, აქ უფულოდ ვერაფერს გააკეთებო. ძალიან გულუხვად მექცევიან, მალაზიებში სასიარულო ფულსაც მაძლევენ, კინოსა და რესტორნისაზე აღარაფერს ვამბობ.

— **თან რესტორნებში სულ შენ ხომ არ გადაიხდი, ბოლოს და ბოლოს სტუმარი ხარ...**

— ეგ თავისთავად, მე ვინ გადამახდევინებს, როცა თავიანთ ოჯახთან ერთად მპატიჟებენ. არადა, თითქმის ყოველდღე მიხდება „სან ანტონიოს" რომელიმე მწვრთნელის ან ხელმძღვანელის ოჯახთან ერთად ვახშმობა. მგონი რიგი დააწესეს, დღეს მე დავპატიჟებ სანიკიძეს, ხვალ შენო.

— **მოკლედ, ქეიფობ და ხარ...**

— ჰო და კინოშიც ხშირად დავდივარ. რაც აქ ყოფნაში მე კინოში ვიყავი, რა ვიცი, მგონი, ცხოვრებაში არ ვყოფილვარ ამდენჯერ. მოკლედ, ზეპირად ვიცი სან ანტონიოს მთელი კინორეპერტუარი.

— **მომავალზე რას გეუბნება გუნდის ხელმძღვანელობა?**

— ჯერ მუხლები უნდა მოირჩინო და ფორმაში შეხვიდეო. „დიჟონში" მომავალ სეზონში კიდევ უფრო მომძლავრდები და მერე ისევ აქ ჩამოხვალ საზაფხულო ლიგებში სათამაშოდო. ყველაფერი ალბათ მომავალი წლის ზაფხულს გაირკვევა — თუ მანამდე ბევრი მოვუმატე და საზაფხულო ლიგებში თავი გამოვიჩინე, „სან ანტონიოში" გადასვლაზეც მერელა ვიფიქრებ. ახლა ძნელია რამის თქმა.

— **ახლა რა გეგმები გაქვს?**

— 29 აგვისტოს საფრანგეთში გავფრინდები, „დიჟონის" ხელმძღვანელობას შევხვდები, მომავლის გეგმებზე დაველაპარაკები, ექიმს გავესინჯები და თუ მუხლები მწყობრში მექნა, თბილისში ჩამოვალ ეროვნული ნაკრების შეკრებაზე.

**ირაკლი პერტაია**





ვლადო ილიევსკისა და ვრბიცა სტეფანოვის გარეშე მაკედონიელებმა ბულგარეთში წააგეს

# მაკედონიელებმა ვლახებთან გალახეს

## თავადაც გაილახნენ...

**მაშინ, როცა საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის მზადება დაასრულა, ჩვენი მეტოქეები გახურებულ ფაცაფუცში არიან. ფინეთმა ახლახან ბენილუქსის ქვეყნები შემოიარა სასპარინგოდ და თვის ბოლოს კიდევ ორი მატჩი ელის — ქართველთა მთავარმეტოქე მაკედონიამ კი გუშინწინ ბულგარული ოთხთა ტურნირი მოილია**

22-24 აგვისტოს სოფიამ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს, „სოფია ევარდს" უმასპინძლა. მასპინძლებთან ერთად შეჯიბრში ხორვატიის, რუმინეთისა და ჩვენთვის საინტერესო მაკედონიის გუნდები მონაწილეობდნენ.

მაკედონიას ოპტიმალური შემადგენლობა არ ჰყოლია, ბარსელონელ ვლადო ილიევსკისთან და სკიპერელ ვრბიცა სტეფანოვთან ერთად ჩვენს მეტოქეს ერთი-ორი ისე-რა მოთამაშეც აკლდა.

მაკედონიელებმა უნიათოდ დაიწყეს ტურნირი და ხორვატთა მძლავრ გუნდთან 78:100 წააგეს. ასევე უხეიროდ ითამაშეს ექსიუგოსლაველებმა მასპინძელ ბულგარეთთან და 84:105 დამარცხდნენ.

ტურნირის უკანასკნელ შეხვედრაში მაკედონიელები მათსავით ორი მატჩის წამგებ რუმინელებს შეხვდნენ და, როგორც იქნა, გაიხარეს. ვლახებმა ვერაფერი გააწყვეს ჩვენს მომავალ მეტოქესთან და 79:89 დამარცხდნენ.

მაკედონიელთაგან ამ ერთადერთ მოგებულ მატჩში გეორგი ჩეკოვსკი გამოირჩა, რომელიც წინა ორ შეხვედრაშიც ქულუხვობდა და საბოლოოდ ტურნირის ბომბარდირიც გახდა თანამემამულე პერო ბლაჟევსკისთან ერთად. რუმინელებს ბლაჟევსკიმ 16, ჩეკოვსკიმ კი 23 ქულა ჩაუგდო და სამ მატჩში ამ ტანდემს საშუალოდ 19,7-19,7 ქულა დაუგროვდა.

ამ დროს კი საქართველოს ნაკრები შვებულებაშია და შეკრებას 1 სექტემბერს თბილისში იწყებს. დრაჟენ ბრაიკოვიჩის გუნდი პირველ მეტოქეს, ფინეთის ნაკრებს სპორტის სასახლეში 11 სექტემბერს მიიღებს, ხოლო 4 დღეში უკვე მაკედონიაში ელის უმნიშვნელოვანესი ბრძოლა.

**ირაკლი პერტაია**

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. III საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

**მაკაბი** (ჰაიფა, ისრაელი) 2:3 დ.დ.(2:1) **რუსენბორგი** (ნორვეგია) (1:2)
1:0 ბადირი (31), 2:0 ბოკოლი (37), 2:1 ბრატბაკი (90), 2:2 ბრაატენი (94), 2:3 ბერგი (116)

**ანდერლეხტი** (ბელგია) 3:0 **ბენფიკა** (პორტუგალია) (0:1)
1:0, 2:0 არუნა დინდანე, (33, 59), 3:0 იესტროვიჩი (73)

**მონაკო** (საფრანგეთი) 6:0 **გორიცა** (სლოვენია) (3:0)
1:0 ჩევანტონი (18), 2:0 ბერნარდი (32), 3:0 ფაკირი (42), 4:0 კალონი (47), 5:0 ფარნერუდი (67), 6:0 ადებაიორი (843)

**ინტერი** (იტალია) 4:1 **ბაზელი** (შვეიცარია) (1:1)
1:0 ადრიანო (1), 2:0 სტანკოვიჩი (13), 2:1 სტერიოვსკი (49), 3:1 ადრიანო (53), 4:1 რეკობა (60)

**დეპორტივო** (ესპანეთი) 3:0 **შელბურნი** (ირლანდია) (0:0)
1:0, 2:0 ვიქტორი (57, 63), 3:0 პანდიანი (87)

**ლივერპული** (ინგლისი) 0:1 **გრაცერი** (ავსტრია) (2:0)
0:1 ტოკიჩი (55)

# ბევრი გოლი ბევრი ფულის მანჩინის ადრიანო უხარია




ადრიანომ „ბაზელს“ შვეიცარიაშიც გაუტანა და „სან სიროზეც“

„გოლამდე თავს მშვიდად ვგრძნობდი და გუნდიც კარგად თამაშობდა, მაგრამ ავსტრიელებმა როგორც კი გაგვიტანეს, ბიჭებს ნერვიულობა დაეტყოთ. ბურთს ხშირად კარგავდნენ, რამაც ამაფორიაქა. მარცხმა გვანახა, რომ ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს“ — განაცხადა „ლივერპულის“ მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა „გრაცერთან“ წაგებული მატჩის შემდეგ.

მასპინძლებმა პირველი შეხვედრა ავსტრიაში 2:0 მოიგეს. თავი ქუდში და ფეხი ჩემპიონთა ლიგაში ჰქონდათ, მაგრამ „ენფილდზე“ მარიო ტოკიჩის გოლმა ლივერპულელები გვარიანად ანერვიულა. „გრაცერის“ ნახევარმცველმა საჯარიმოს გარედან გაისროლა და ბურთი ხარიხიდან დუდეკის კარში აღმოჩნდა. შეხვედრის დასრულებამდე რვა წუთით ადრე როლანდ კოლმანს შეეძლო მეორის გატანა, მაგრამ ამ შემთხვევაში დუდეკმა იყოჩაღა.

მატჩში საინტერესო კიდევ ის იყო, რომ მსაჯმა ლუის მედინა კანტალეხომ „გრაცერის“ კაპიტანი რენე აუფჰაუზერი ორჯერ გააფრთხილა და არ გააძევა. „მე ვნახე ფირზე ეპიზოდი და მსაჯთან პრეტენზია არ მაქვს, რადგან ეს მხოლოდ უნებლიე შეცდომაა“ — თქვა ბენიტესმა.

რობერტო მანჩინი შარშან ჩემპიონთა ლიგაში მოთამაშე „ლაციოს“ მწვრთნელი იყო. ამჯერად კი უძლიერესთა შორის „ინტერით“ შეაბიჯა. მილანელებმა „ბაზელს“ ბრწყინვალედ მოთამაშე დეიან სტანკოვიჩი დაახვედრეს, რომელმაც ორი საგოლე პასი მიითვალა და ერთიც თავად გაიტანა.

შეხვედრის დაწყებიდან რამდენიმე წამში ალვარო რეკობამ პასკალ ცუბერბიულერს თავის ცაციის ძალა აგრძნობინა, მეორე წუთზე კი სტანკოვიჩის პასით ადრიანომ ანგარიში გახსნა. შემდეგ ბრაზილიელმა თანაგუნდელს ვალი დაუბრუნა და სერბმა შორიდან შეჭედა ბურთი „ ბაზელის“ კარში.

მეორე ნახევარში შვეიცარიელებმა მილე სტერიოვსკის წყალობით ერთი გაქვითეს და მატჩის ინტრიგა გააცოცხლეს, მაგრამ ადრიანომ მალევე აღადგინა ორბურთიანი სხვაობა, ხოლო ალვარო რეკობამ დაახლოებით 20 მეტრიდან მეოთხე მიაყოლა.

„პირველი 25 წუთით ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან გუნდი მობილიზებული და აგრესიული იყო, მაგრამ ორი გოლით რომ დავწინაურდით, საქმე მოთავებულად ჩათვალეს, მოეშვნენ და ამისთვის მეორე ტაიმში კიდეც დავისაჯეთ. საბედნიეროდ, დროულად მოეგნენ გონს. „ბაზელი“ ძლიერი გუნდია და მატჩამდე არ მეგონა, ასეთი ანგარიშით თუ დავამარცხებდით. როგორც ჩანს, ორთვიანმა თავდაუზოგავმა შრომამ შედეგი გამოიღო. რაც შეეხება ადრიანოს, მიხარია, ასეთი ფეხბურთელი რომ მყავს გუნდში, ხოლო რეკობას გაცილებით მეტი შეუძლია“ — თქვა რობერტო მანჩინიმ.

„ინტერის“ ბრაზილიელმა მეგოლემ კი თქვა — „ასე თუ გავაგრძელებთ, ჩემპიონთა თასსაც ავიღებთ. მანჩინი დიდი მწვრთნელია. მას შესანიშნავი ფეხბურთელები ჰყავს, რომლებსაც წარმატებისთვის ყველა პირობა აქვთ“.

ჯოვანი ტრაპატონის ამ ზაფხულს არ უმართლებს. მისი იტალია ევრო 2004-ის მეოთხედფინალში ვერ მოხვდა, „ბენფიკა“ კი — ჩემპიონთა ლიგაში, რადგან სიბერეში დაცვის მოტრფიალე „ტრაპის“ გუნდმა „ანდერლეხტისგან“ სამი გოლი გაუშვა.

ბელგიელებმა ლისაბონში პირველი მატჩი 0:1 წააგეს. ბრიუსელში მასპინძელთა მწვრთნელმა უგო ბროოსმა ძირითად შემადგენლობაში თავიდანვე სამი ფორვარდი გაამწესა: მბო მპენზა, არუნა დინდანე და ნენად იესტროვიჩი. დინდანემ ანგარიში პირველ ტაიმში ალბანელი ბესნიკ ჰასის პასით გახსნა. ჰასიმ საჯარიმო დარტყმა შეასრულა, კოტდივუარელმა თავდამსხმელმა კი მცველებს ჰაერში აჯობა და თავით გაიტანა.

მეორე ნახევრის დაწყებიდან თხუთმეტ წუთში აფრიკელს ასისტენტობა ვალტერ ბასეჯიომ გაუწია, რომელმაც კარის წინ მიართვა ბურთი და მეგოლესაც ზუსტად დარტყმალა მართებდა.

„ბენფიკას“ ერთი გოლიც ხელს აძლევდა ჩემპიონთა ლიგაში გასასვლელად, მაგრამ პორტუგალიელებმა „ანდერლეხტის“ კარის გასალებს ვერ მიაგნეს. 71-ე წუთზე ნენად იესტროვიჩმა საჯარიმოში მოიგდო ბურთი და ძლიერად დაჰკრა, ხოლო „ბენფიკას“ მცველმა არგელმა ხელით მოიგერია. მსაჯმა არგელი გააძევა და თან პენალტიც დანიშნა, რომელიც თავად იესტროვიჩმა გამოიყენა.

ჩემპიონთა ლიგის ფინალისტმა „მონაკომ“ სლოვენიურ „ნოვა გორიცასთან“ გაილაღა. მასპინძლები 2:0-ს რომ იგებდნენ, მსაჯმა ისედაც დაჩაგრულ სტუმრებს მარკო შულერი გაუძევა და კაცნაკლული გორიცელები ლაღად შემტევ „მონაკოსთან“ რალას გახდებოდნენ. მასპინძელთა ახალწვეულმა ფორვარდებმა, ხავიერ ერნესტო ჩევანტონიმ და მოჰამედ კალონმა თითო გოლი გაიტანეს. „სლოვენიაში 3:0 მოგების მიუხედავად, გუნდს შეტევა და ბევრი გოლი მოვთხოვე. დიდი ანგარიშით გამარჯვება ფსიქოლოგიურად დაგვეხმარება, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრით ფინანსურადაც მოვყოჩაღდებით“ — თქვა დიდიე დეშანმა.

კაცნაკლული ჰაიფას „მაკაბი“ ჩემპიონთა ლიგაში ჰარალდ ბრატბაკმა არ შეუშვა, რადგან რუსენბორგელმა 90-ე წუთზე საჯარიმო დარტყმა ბრწყინვალედ შეასრულა და თამაში დამატებით დროში გაიყვანა, სადაც დანიელ ბრაატენმა და ორიან ბერგმა კიდევ ორი გაუტანეს ჰაიფელებს.

მატჩის პირველ ტაიმში მასპინძლებს გრაიები უხეშობისთვის გაუძევეს. მიუხედავად ამისა, „მაკაბიმ“ შვიდწუთიან მონაკვეთში ორჯერ გაუტანა ნორვეგიელ სტუმრებს და ორი მატჩის ჯამში გადიოდა კიდეც ჩემპიონთა ლიგაში, თუმც ბრატბაკმა არ დაანება. „ძალიან ვწუხვარ და ბოდიშს ვუხდი „მაკაბის“. ჩვენ დავიმსახურეთ ეს გამარჯვება“ — განაცხადა „რუსენბორგის“ თავკაცმა ოლა ბაი როსემ.

ირლანდიის „შელბურნის“ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ „დეპორტივოსთან“ პირველ ტაიმში გოლი არ გაუშვა, მაგრამ ლაკორუნიელებმა შესვენების შემდეგ სამის გატანა შეძლეს და კვლავ ჩემპიონთა ლიგის ბინადარნი გახდნენ.

**ვაჟა ხუციშვილი**




ნორვეგიელმა ბრაატენმა ებრაელებს დამატებით დროში გაუტანა



ჯოვანი ტრაპატონი დროს და ლიგას ჩამორჩა

## ინტერტოტოს თასი 2004

### ფინალი. საპასუხო მატჩები

**ლიბერეცი** (ჩეხეთი) 0:1 **შალკე** (გერმანია) (1:2)

0:1 აილტონი (90),

შალკე: ფ. როსტი, ვალდოხი, ბორდონი, კრსტაიჩი, უდე კამპუისი, პოულსენი, ვერმანტი, ალტინტოპი, როდრიგესი (კლასენერი 81), აილტონი (დელურა 90), ასამოა (ჰანკე 81)

მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი

მსაჯი: ბასკაკოვი (რუსეთი)

7 880 მაყურებელი

**ატლეტიკო** (ესპანეთი) 1:3 პენ(2:0) **ვილიარეალი** (ესპანეთი) (0:2)

1:0 კალვო (47), 2:0 იბაგასა (57)

**ლეირია** (პორტუგალია) 0:2 დ.დ.(0:0) **ლილი** (საფრანგეთი) (0:0)

0:1 მუსილუ (104), 0:2 აჩიმოვიჩი (117)

# იყავით არხეინად, კარში დგას რეინა



„ვილიარეალი“ უეფას თასზე ხოსე რეინამ გაიყვანა

„ვილიარეალმა“ ზედიზედ მეორედ მოახერხა ინტერტოტოს თასიდან უეფას თასზე გასვლა და ეს მეკარე ხოსე რეინას დამსახურებაა. რეინამ 67-ე წუთზე ფერნანდო ტორესს თერთმეტმეტრიანი დარტყმა აუღო, ხოლო პენალტების სერიაში კიდევ სამი მოიგერია.

მადრიდის „ატლეტიკოს“ ოთხი ფეხბურთელი აკლდა. სალვა ბალესტას და პეტერ ლუჩინის ინტერტოტოს თასზე თამაშის უფლება არ ჰქონდათ, ველკო პაუნოვიჩი ტრავმირებული იყო, ხოლო კოზმინ კონტრა — დისკვალიფიცირებული. სტუმრებს არ ჰყავდათ მუხლმტკივანი როხერ გარსია, მაგრამ, სამაგიეროდ, სონი ანდერსონი დაუბრუნდათ.

ფერნანდო ტორესმა პირველ ტაიმში რეინას კარის ჩარჩოს გაარტყა ბურთი, მერე კი ერთი ხელსაყრელი ეპიზოდი ვერ გამოიყენა. შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე არიელ იბაგასას და კიკი მუსამპას ჰქონდათ საგოლე მომენტები.

მეორე ნახევრის დაწყებიდან თხუთმეტწუთიან მონაკვეთში „ატლეტიკომ“ ორჯერ გაიტანა. გარსია კალვომ თავური დარტყმით გახსნა ანგარიში, ხოლო არიელ იბაგასამ მალე მეორე მიაყოლა. ამის შემდეგ კიკე ალვარესმა ფერნანდო ტორესი საპენალტოდ წააქცია, მაგრამ ხოსე რეინამ მადრიდელს არ გაატანინა. შეხვედრის მიწურულს დიეგო სიმეონეს შეეძლო მატჩის ბედის გადაწყვეტა, თუმც უშნოდ დაარტყა და კარს ააცილა.

თერთმეტმეტრიანების სერიაში რეინამ გარსია კალვოს, ნანოს და დე ლუკასს აუღო. „ვილიარეალის“ ფეხბურთელებს კი სამი პენალტის გატანა დასჭირდათ უეფას თასზე გასაღწევად.

გელზენკირხენის „შალკემ“ „ლიბერეცს“ მეორე შეხვედრაც მოუგო. ჩეხები მატჩის დასაწყისშივე მიაწვნენ მეტოქეს და ოცი წუთის განმავლობაში უტრიალეს სტუმართა საჯარიმოს. ფრანკ როსტმა ორჯერ იხსნა გუნდი. ჯერ პაპოუშეკს აუღო თავით ახლოდან დარტყმული, მერე კი კრისტიან პოულსენის შეცდომა გამოასწორა. „შალკეს“ მცველმა უკან პასი გააკეთა და როსტის სიყოჩაღე რომ არა, ბურთს ლიბერეცელი ანჩიჩი დაითრევდა. მასპინძელთა ერთგვარი შტურმი „შალკემ“ თანდათან გაანელა, მეორე ტაიმის მიწურულს კი აილტონმა თავისი საქმე გააკეთა — მცველებს გაექცა და ნაქები ცაციით გაიტანა. ჯერალდ ასამოამ ნამატჩევს მეკარე აქო: „ჩვენ ფრანკ როსტს უნდა ვუმადლოდეთ, რომ წაგებას გადავურჩით“.

„ლილმა“ და „ლეირიამ“ საფრანგეთშიც უგოლოდ ირბინეს და პორტუგალიაშიც. 180 წუთი გოლის გასატანად არ ეყოთ, ამიტომ ლეირიაში დამატებითი დროის დანიშვნა გახდა საჭირო. ძირითად დროში ლილელმა ტავლარიდისმა და ლანდრინმა მასპინძელთა კარის ჩარჩო შეატოკეს, ხოლო ედსონმა სტუმართა მეკარის თავზე ხარიხა შეაზანზარა. ფრანგებმა 110 წუთის შემდეგ შეძლეს სამიზნის გასწორება. ჯერ მეტ მუსილუმ ივარგა, მერე კი მილენკო აჩიმოვიჩმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ინგლისი

### პრემიერლიგა. III ტური

**კრისტალ პალასი 0:2 ჩელსი**

0:1 დროგბა (28), 0:2 ტიაგო (72)

კრისტალ პალასი: სპერონი, ბოისი, ჰადსონი, პოპოვიჩი, გრანვილი, რუტლეჯი, ჰალი, რიჰილაჰტი, კოლკა, ჯონსონი, კაფიედესი (ჰიუზი 67)

მწვრთნელი: იან დოუვი

ჩელსი: ჩეხი, პაულუ ფერეირა, გალასი, ტერი, ბაბაიარო, მაკელელე, ლამპარდი, ტიაგო, კოული (ჯერემი 76), დროგბა (გუდიონსენი 75), კეჟმანი (მუტუ 70)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხილება: ბაბაიარო, ჰადსონი

მსაჯი: ფოე

24 953 მაყურებელი

**ბირმინგემი 1:0 სიტი**

1:0 ჰესკი (8)

ბირმინგემი: ტეილორი, მელხიოტი, აპსონი, კენინგემი, ლაზარიდისი (კლემენსი 59), გრონკიაერი, ჯონსონი, იზეტი, გრეი, ფორსელი (ტებილი 79), ჰესკი (ჯონი 54)

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

მანჩესტერ სიტი: ჯეიმსი, ჯიჰაი, მილსი, დისტინი, ტეტჩერი, რაიტ-ფილიპსი, ბოსველტი (ბარტონი 79), რეინა, სიბიერსკი (სინკლერი 57), ფაულერი (მაკენი 79), ანელკა

მწვრთნელი: კევინ კიგანი

გაფრთხილება: იზეტი, მილსი

მსაჯი: დოუდი

28 551 მაყურებელი

# დროგბას მუხლი და კიგანის სევდა




დიდიე დროგბა

პრემიერლიგის მესამე ტური ორი თამაშით გაიხსნა შუა კვირაში. „ჩელსი“ „კრისტალ პალასს“ ეწვია და ლიგის ლიდერობაც იგდო ხელთ დიდიე დროგბასა და ტიაგოს წყალობით. ჟოზე მაურინიუს შეიძლება ახარებდეს, რომ მის გუნდს ჯერაც არ გაუშვია გოლი, თუმცა სამწუხაროდ შეიძლება ის დაურჩეს, რომ თამაშის მიწურულს უთუსბირად ნაყიდ დიდიე დროგბას მუხლი დაუშავდა და როგორც ამბობენ, ეგებ სერიოზულადაც. „ჩელსი“ კი ჯერჯერობით ლიდერია და თან საუცხოო შედეგით.

„ბირმინგემისა“ და „მანჩესტერ სიტის“ მატჩი პირველებმა ახალწვეულის, ემილ ჰესკის თავურით მოიგეს. ეს გოლი ჰესკიმ თამაშის დასაწყისში, მცველებთან ჭიდილში ჩააჭედა მეკარე დევიდ ჯეიმსისგან მარჯვენა კუთხეში.

თამაში მძიმე გამოვიდა, თუმც „ბირმინგემს“ უფრო შეეძლო გატანა. მით უმეტეს, რომ მომჯობინებული მთავარმეგოლე, მიკაელ ფორსელიც დაუბრუნდა. „სიტის“ თუკი ჰქონდა შანსი, რობი ფაულერის თავური იყო, თამაშის მიწურულს კი ჯეიმსმა ერთი კარგი ბურთი აუღო სტერნ ჯონსს.

ამ წაგებას „სიტის“ მენეჯერი კევინ კიგანი დიდად არ წაუხდენია, თუმცა ჩვეულად დაასევდიანა, მეტი გვეკუთვნოდაო. მასპინძელთა თავკაცი სტივ ბრიუსი კი ჰესკის გამოყვანის გამო იქებდა თავს, მაკრიტიკებდნენ და გამიმართლაო.

„სიტი“ ბოლოდან მეორე ადგილზე მომაგრდა. „ბირმინგემი“ კი სეზონში პირველი გამარჯვებით მეშვიდე ადგილზე აცოცდა.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ნიუკასლი უმატებს

## რუნი კაჭკაჭი უნდა გახდეს

*„ნიუკასლი“ აღარ ხუმრობს: ორი დღის წინათ „ევერტონისთვის“ შეთავაზებულ 20 მილიონ გირვანქას, რის სანაცვლოდაც, უეინ რუნის ითხოვდა, გუშინ ორი მილიონი კიდევ დაამატა, თუმცა 28-მდე ამსვლელია*

**ორი დღის** წინათ „ევერტონმა“ იუარა, 30 მილიონზე ნაკლებად ბიჭს არ გავყიდითო, ახალი ფასი კი აშკარად ჩააფიქრებს ლატაკი კლუბის მენეჯერ დევიდ მოიესს. „ევერტონს“ 40 მილიონ გირვანქამდე ვალი აქვს, ამ ზაფხულს 10 ფეხბურთელი გაყიდა და მხოლოდ ოთხი იყიდა, რუნის კი ჯერაც ვერ მოელაპარაკა ახალ კონტრაქტზე, კვირაში 50-ათასიან ხელფასს რომ გულისხმობს.




„ევერტონის“ პასუხი ახალ ფასზე უცნობია, თუმც ნიუკასლელთა მენეჯერი სერ ბობი რობსონი მაინც ფიქრობს, რომ რუნის სწორედ მის სასარგებლოდ შეელევიან. „არ მგონია, რომ ისინი საბოლოო უარზე დადგნენ. „ევერტონს“ ფული სჭირდება, ამიტომ ვინმე უნდა გაყიდოს. ვინმე — რუნია. ახლა საქმე ისეა, რომ 20 მილიონად რუსები მთელი „ევერტონის“ ყიდვას აპირებდნენ, ჩვენ კი ერთ ფეხბურთელში ვიხდით 28 მილიონს. ეს კარგი ფასია 18 წლის თუნდაც ვარსკვლავისათვის“.

ამასთანავე „ნიუკასლი“ მთელი სიმკაცრით უარყოფს ხმებს იმის თაობაზე, რომ ვაჭრობა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ჯინაზე წამოიწყო. მას შემდეგ, რაც ჯონათან ვუდგეიტი „რეალ მადრიდს“ მიჰყიდა 13,4 მილიონად, „ნიუკასლი“ ძალიან გააქტიურდა ბაზარზე. ახლა იმასაც ამბობენ, რომ რუნის კვალად მანჩესტერელი ჯონ ოშის გადაბირებასაც შეეცდება, რადგან ვუდგეიტის შემცვლელი სჭირდებაო.

თუმცა, ვუდგეიტში აღებული ფული რუნიში შეთავაზებულის ნახევარიც არ არის და ნიუკასლელ ქომაგებს კიდეც უკვირთ, ჩვენს თავმჯდომარეს, ფრედი შეპარდს რამდენი უშოვნიაო. „ნიუკასლს“ ერთბაშად 20 აგენტთან დაუჭერია საქმე და რუნის და ოშის ალბათ სხვა სიურპრიზებიც მოჰყვება.

**ირაკლი გამყრელიძე**



# მუნიოსი თასებს აგროვებს

## სარაგოსამ ვალენსია თამაშგარეთ დატოვა

ესპანეთი

სუპერთასი. საპასუხო მატჩი

**ვალენსია 1:3 სარაგოსა (1:0)**

0:1 ალვარო (11), 0:2 გალეტი (33), 1:2 კორადი (53), 1:3 ხავი მორენო (82)
**ვალენსია:** კანისარესი, კანეირა, ნავარო, პელეგრინო, კარბონი, რუფეტე (ანგულო 46), ალბელდა, ბარახა (აიმარი 46), ფიორე, მისტა, კორადი (ხისკო 65)
**მწვრთნელი:** კლაუდიო რანიერი
**სარაგოსა:** ლუის გარსია, კუარტერო, მილიტო, ალვარო, ტოლედო, მოლივა, ზაპატერა (კენერელო 59), გალეტი (სორიანო 70), ხავი მორენო, სავიო, ვილია (ჩანი 56)
**მწვრთნელი:** ვიქტორ მუნიესი
**გაფრთხილება:** დავიდ ნავარო, ანგულო, პელეგრინო, ტოლედო, ზაპატერა
**მსაჯი:** მეხია დავილა
**35 000 მაყურებელი**

ვიქტორ მუნიოსის „სარაგოსამ“ „მესტალიაზე“ შეკრებილ 35-ათასიან ინჩასობას ფრიად არასასიამოვნო სანახაობა მოუწყო — ესპანური სუპერთასის ფინალის პირველ მატჩში საკუთარ „ლა რომარედაზე“ ძლეულმა არაგონელებმა (0:1) საპასუხო შეხვედრაში კლაუდიო რანიერის ჩემპიონი გუნდი დამაჯერებელი ანგარიშით — 3:1 დაამარცხეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „სარაგოსამ“ თავის ისტორიაში პირველად მოიგო ესპანეთის სუპერთასი — ალვაროს, გალეტისა და ხავი მორენოს გოლებმა „ვალენსიას“ საპატიო ჯილდოს ხელში ჩაგდების არანაირი შანსი აღარ დაუტოვა.

სანტიაგო კანისარესის კართან ავის მომასწავებელი პირველი ნიშანი თამაშის დასაწყისშივე აღინიშნა — მესამე წუთზე ხავი მორენომ ვილიას პასის შემდეგ რანიერის მეკარე ძლიერი თავურით დააფრთხო. მართალია, „ვალენსია“ ბეჯითად ეცადა მატჩის სადავეების ხელში ჩაგდებას, მაგრამ მუნიოსის შეგირდები აშკარად მასპინძლებზე უკეთ ირჯებოდნენ. ანგარიში მალევე გაიხსნა — მეათე წუთზე სავიოს ჩინებული გადაცემით ალვარომ გაიტანა, 1:0. ვალენსიელებმა შეუტიეს, თუმცა ბარახასა და ალბელდას ყველა მცდელობა, თავიანთი მოიერიშეები პასებით მოემარაგებინათ, უშედეგოდ მთავრდებოდა — სარაგოსელი მცველების გამო რანიერის თავდასხმა თამაშგარეს მსხვერპლი იყო. 30-ე წუთზე „ვალენსიამ“ გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა დაკარგა — კორადი-მისტას კომბინაცია გაბრიელ მილიტომ დროული ჩარევით აღკვეთა. მისტამ მცირე ხანში მაინც შეაგდო, ოღონდ თამაშგარედან და არბიტრმა დავილამაც „მესტალიასგან“ ლანძღვაგინების კორიანტელი მიიღო. ორიოდ წუთში კი სარაგოსელმა გალეტი გაიტანა — კვლავ ვილიას ჩაწოდება და ანგარიში უკვე 2:0-ია.

მეორე ნახევარში რანიერიმ მოედანზე აიმარს უხმო. 8 წუთში კი კორადიმ „მესტალიას“ პირველი და, როგორც შემდეგ გაირკვა, ერთადერთი საპასუხო გოლი უსახსოვრა. იტალიელმა კანეირა-ანგულოს კომბინაციით იხეირა. მიუხედავად ამისა, „სარაგოსას“ წონასწორობა არ დაუკარგავს, ალვარო, მილიტო და კომპანია მოედანს მშვიდად აკონტროლებდნენ და მასპინძლებს შეტევაში რაიმე ფასეულის გაკეთების უფლებას არ აძლევდნენ. მატჩის დასრულებამდე კი ხავი მორენომ გაიტანა — 3:1.

„ჩვენ ამ გამარჯვებას ნამდვილად ვიმსახურებდით. მოგებისა თავიდანვე გვჯეროდა და ყველაფერი ასეც მოხდა“ — განაცხადა ნამატჩევს გახარებულმა ვიქტორ მუნიოსმა, კლაუდიო რანიერიმ კი მეტოქის ძლევამოსილება აღიარა: „ისინი ჩვენზე უკეთ თამაშობდნენ. პირველ ტაიმში რამდენჯერმე შეგვეძლო დაწინაურება, თუმცა, სამწუხაროდ, ვერ შევძელით და საბოლოოდ ცუდი შედეგი მივიღეთ.“

**ლადო ხომერიკი**

# განაჩენი

## პროკურორმა მარასკოს შეუსრულდა

**იტალიაში გარიგებულ მატჩებთან დაკავშირებული საქმის გამოძიება დასრულდა და დამნაშავეებს სასჯელი ასე გაუნაწილეს: „მოდენა“, რომელიც გასულ სეზონში სერია A-დან გავარდა, სერია B-ს -5 ქულით დაიწყებს**

„სამპდორიას“ ნახევარმცველი სტეფანო ბეტარინის (მისი ცოლი RAI2-ზე შოუს წამყვანია) ხუთთვიანი დისკვალიფიკაცია აჰკიდეს, ხოლო კლუბს ჯიბე 15 ათასი ევროთი შეუმსუბუქეს. საინტერესოა, რომ პროკურორი ბეტარინის სამი წლით მოკვეთას ითხოვდა.

„სიენას“ ყოფილი თავკაცი ჯუზეპე პაპადოპულო ხუთი თვით დაისვენებს მწვრთნელობიდან, ხოლო ამავე გუნდის მცველი რობერტო დავერა — ნახევარი წლით.

„მოდენას“ ნახევარმცველი ანტონიო მარასკო სამი წლით ჩამოაშორეს ფეხბურთს. მარასკო 34 წლისაა, თან ამჟამად უკლუბოდაა და მისი კარიერაც ალბათ დასრულდა.

„სიენას“ მეკარე ჯენეროსო როსის ერთწლიანი დისკვალიფიკაცია აკმარეს, ხოლო მილანის „ინტერიდან“ შარშან „სიენაში“ განათხოვრებული ნიკოლა ვენტოლა სასჯელს გადაურჩა. ასევე სუფთად გამოძვრა „კიევოს“ ყოფილი მწვრთნელი ლუიჯი დელ ნერი.

**ვაჟა ხუციშვილი**



ანტონიო მარასკო

# რომში 31 აგვისტო ახლოვდება

ბოლო დღეებში იტალიაში ძალიან უცნაური ჭორი დაიყარა, თითქოს ცოტა ხნის წინ ესპანეთში, კერძოდ „ვალენსიაში“ გაყიდული „ლაციოს“ ყოფილი ვარსკვლავი, ბერნარდო კორადი, რომში ბრუნდებოდა.

„ეს ტყუილია — განაცხადა ფეხბურთელის აგენტმა მორენო როჯიმ — კორადი „ვალენსიადან“ წასვლას არ აპირებს. ჭორების მიზეზი კი „რომას“ ჰკითხეთ“.

დიახ, თურმე ნუ იტყვით და აქ საუბარი „ლაციოში“ კი არა, დედაქალაქში დაბრუნებაზე, ოღონდ „რომაში“ მისვლაზე ყოფილა.

შეგახსენებთ, რომ „რომას“ ცენტრალური თავდამსხმელი სჭირდება და ნათქვამიც ჰქონდა, რომ სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე ანუ 31 აგვისტომდე აუცილებლად შეიძენდა ამ ამპლუის გამორჩეულ მოთამაშეს, მაგრამ, როგორც ირკვევა, რაც დრო გადის, სიტყვის ასრულება მეტად და მეტად რთულდება. მოგეხსენებათ, ალბერტო ჯილარდინომ, რომელიც რომაელთა მთავარი მიზანი იყო, „პარმასთან“ ამჯობინა კონტრაქტის გახანგრძლივება, ზლატან იბრაჰიმოვიჩმაც უარი განაცხადა „აიაქსიდან“ სადმე გადაბარგებაზე და მეტიც, როგორც ჩუმად ამბობენ, მომდევნო ზაფხულს „იუვენტუსს“ დაჰპირდა გადასვლას. იყო საუბარი „დეპორტივო ლა კორუნიას“ თავდამსხმელ დიეგო ტრისტანზეც, ოღონდ ეს საუბარი ამჯერად შეჩერებულია და ახლა არის ლაპარაკი „სან პაულუში“ მოთამაშე ბრაზილიელი ფორვარდის, ნაქები ლუის ფაბიანოს მიწვევაზე. ამბობენ, რომ ლუის ფაბიანო „რომას“ გარემარბის, ასევე ბრაზილიელი ამანტინო მანსინის მეგობარია და ეს გარემოება მისი იტალიაში გამგზავრების შანსს ერთიორად ზრდის.



ბერნარდო კორადი

„ლუის ფაბიანო ნამდვილი მეგოლეა — ამბობს მანსინი — მან ბრაზილიაში, ბოლო ორ სეზონში 60 გოლზე მეტი გაიტანა. ცხადია, შეიძენს თუ არა ფაბიანოს, საბოლოოდ მაინც კლუბის გადასაწყვეტია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ „რომაში“ კიდევ ორი ჩინებული თავდამსხმელი, მარკო დელვეკიო და ვინჩენცო მონტელა თამაშობს, ასე რომ, ხმები, თითქოს ამ რგოლში საქმე ცუდად გვაქვს, გადაჭარბებულია“.

აღსანიშნავია, რომ „რომამ“ უკვე გამოაქვეყნა რომელი ფეხბურთელი რომელი მაისურით ითამაშებს მოახლოებულ სეზონში. მონტელას 9 ნომერი შეხვდა, ხოლო ახალშეძენილ ფილიპ მექსეშს — 5.

**პაპუნა ძიძია**

# ძალიან მნიშვნელოვანი ხიმენესი



ლუის ხიმენესი

„ტერნანაში“ მოთამაშე ჩილელი ნახევარმცველის, ლუის ხიმენესის აგენტის, ბეპე გალის განცხადებით, მისი კლიენტის შეძენით მეტისმეტად დაინტერესებული გახლავთ „ლაციო“, თუმცა მის გარდა კიდევ ბევრ წამყვან კლუბს გამოუხატავს ინტერესი.

„რომაელები ხიმენესის ყიდვით ძალიან არიან დაინტერესებულნი, ასე რომ, უნდა დავიცადოთ და ვნახოთ, რა მოხდება — თქვა გალიმ — „ბრეშამ“, მაგალითად, უკვე შემოგვთავაზა 2,20 მილიონი ევრო ფეხბურთელის სანახევრო პატრონობაში, თუმცა „ტერნანა“ ამ წინადადებას ჯერჯერობით არ ეხმაურება“.

„ტერნანა“ რომ თავისი შემტევი ნახევარმცველის გასხვისებას არ ჩქარობს, გასაგებია, რადგან ხიმენესი სერია B-ს ამ გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. აი, რას ამბობს კლუბის გენერალური დირექტორი პიერიო მასკელა: „ხიმენესი ხელშეუხებელია. ჩვენ მის გაყიდვაზე ფიქრს მხოლოდ გაისად ამ დროს დავიწყებთ“.

აგენტმა გალიმ კი ყოველივე ამას დაამატა, რომ „ლაციო“ არა მხოლოდ ლუის ხიმენესის, არამედ მისი თანაგუნდელის, ჰუსეინ ხარიას გადაბირებასაც ცდილობს.

გალი: „რომაელები მას აკვირდებიან. ამ ცოტა ხნის წინ მისი ყიდვა „პარმასაც“ უნდოდა და გარიგება კინაღამ შედგა კიდეც“.

შეგახსენებთ, რომ „ლაციოს“ ახალმა პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომ განაცხადა, რომ გუნდში რამდენიმე ახალი ფეხბურთელის მიწვევას აპირებს.

**პაპუნა ძიძია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა, იურგენ კლინსმანმა გადაწყვიტა ცნობილ მეკარეს, იენს ლემანს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატამდე კიდევ ერთხელ მისცეს ბუნდესგუნდის მთავარ გოლკიპერად გახდომის შანსი. კლინსმანის ნათქვამმა, რომ აქამდე გერმანიის ნომერ პირველ მეკარედ შერაცხული ოლივერ კანის ნაკრების კარში გარანტირებულ დგომას წყალი შეუდგება, გაზეთების პირველი გვერდები მოიარა დიდრონი ასოებით

# ბებრების დუელი
## კლინსმანმა ლემანს კარი გაუღო



მოგეხსენებათ, კლინსმანმა კანს ნაკრების კაპიტნობაც ჩამოართვა და მიხაელ ბალაკს გადასცა, მაგრამ წინა კვირაში, ავსტრიასთან ამხანაგურ შეხვედრაში გერმანელთა კარს მაინც „ბაიერნის“ ვეტერანი იცავდა.

ამ თემაზე ახალმა მწვრთნელმა „კიკერის“ კორესპონდენტთან ისაუბრა, სადაც თქვა:

„ჩვენ 2006 წლამდე საბოლოო სიტყვის თქმას არავინ გვავალდებულებს. მე როგორც ლემანისთვის, ასევე კანისთვის შანსის მიცემას ჩემს მოვალეობად მივიჩნევ. მათ ოცნების ახდენის შესაძლებლობა უნდა მიეცეთ, თუმცა ფაქტია, რომ ერთ-ერთის გაწბილება მომიწევს. ძალიან კარგად ვიცი, რომ გულის სიღრმეში ისინი დიდ პატივს სცემენ ერთმანეთს. ძალიან კარგი სანახავი იქნება თუ როგორ მოიწადინებენ ისინი, რათა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაკრების კარი დაიცვან. კანისა და ლემანის დუელი მთელი გუნდისთვის კარგი მაგალითი უნდა გახდეს“.

მაგრამ გერმანიაში კანისა და ლემანის გარდა კიდევ არიან ძლიერი მეკარეები. მაგალითად, ასეთია „შტუტგარტის“ 25 წლის გოლკიპერი ტიმო ჰილდებრანდი, რომელმაც ამ დღეებში წერტილი დაუსვა ჭორებს და განაცხადა, რომ „გოტლიბ-დაიმლერ-შტადიონზე“ რჩება. ჭორები კი ჰილდებრანდის და „შტუტგარტის“ დირექტორატის გაჭიანურებულმა მოლაპარაკებებმა წარმოშვა. იფიქრეს, მხარეები ხელშეკრულების გახანგრძლივებაზე შეთანხმებას ვერ აღწევენ და ესე იგი, მეკარეც თავისი მწვრთნელის გზას დაადგება, ფელიქს მაგათივით „ბაიერნში“ წავაო.

„არა, მე „შტუტგარტში“ მინდა დარჩენა“ — განუცხადა პასუხად ჰილდებრანდმა „შპორტბილდს“.

„ის, რომ კლუბის ხელმძღვანელობას მშვიდად და საფუძვლიანად ვესაუბრე, სულაც არ ნიშნავს თითქოს ვერაფერზე ვუთანხმდებოდი“.

აღსანიშნავია, რომ „შტუტგარტმა“ რამდენიმე თვის წინ ხელშეკრულება განუახლა გერმანიის ნაკრების კიდევ ორ ფეხბურთელს, კევინ კურანის და ანდრეას ჰინკელს.

როგორც ამბობენ, ჰილდებრანდმა ახალ კონტრაქტს 2008 წლამდე მოაწერა ხელი და ხალფასად ყოველ წელიწადს 2,5 მილიონ ევროს მიიღებს.

**ბაბუნა ბედია**

# ლუიშ ფიგუს ტოტენჰემში ელიან



ლუიშ ფიგუ უახლოეს დღეებში შეიძლება პრემიერლიგაში გადაბარგდეს. როგორც ბრიტანული „გარდიანი“ იუწყება, „ტოტენჰემის“ სპორტული დირექტორი ფრენკ არნესენი ორი დღის წინ მადრიდს ეწვია და „რეალის“ თავკაცებს პორტუგალიელი ვარსკვლავის მომავალზე მოეთათბირა. დაინტერესებულმა მხარეებმა საერთო ენა მალე გამონახეს და ხელშეკრულების გაფორმებაც თითქოს არ უნდა დაბრკოლდეს.

შეგახსენებთ, რომ „რეალმა“ ფიგუსთან კონტრაქტის გაგრძელება აღარ ისურვა და პორტუგალიელიც სხვაგან გადასასვლელად მზად არის. აქვე ისიც ვთქვათ, რომ ლუიშს გული მუდამ პრემიერლიგისკენ მიუწევდა და ბევრ ინგლისურ კლუბს უცდია მისი გადაბირება. პორტუგალიელის აგენტები აქამდე „არსენალს“, „ჩელსის“, „ლივერპულსა“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ დაუკავშირდნენ, თუმცა ხსენებულ კლუბებთან გარიგება სხვადასხვა მიზეზის გამო არ შედგა.

ამ ბოლო დროს მოლონიერებული „ტოტენჰემმა“ კი, თუ „გარდიანის“ ცნობებს ვენდობით, კვირის ბოლოს ფიგუს ტრანსფერს მოაკვარახჭინებს. „ჩვენი კლუბი რამდენიმე კარგი ფეხბურთელით გაძლიერდა, თუმცა ტრანსფერების საქმე ჯერ არ დახურულა და არ გამოვრიცხავ, რომ დიდი ფეხბურთელი შევიძინოთ“ — აცხადებს ფრენკ არნესენი.

**ლადო ხომერიკი**

# გენიოსის ცრემლი



დიეგო მარადონამ მთელი არგენტინის წინაშე კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა გაუწონასწორებელი ბუნება — ტელეინტერვიუს დროს ატირდა. ეს სამშაბათს მოხდა, როდესაც გენიალური ფეხბურთელი კოკაინისთვის თავის დანებებასა და ამასთან დაკავშირებულ პრობლემებზე საუბრობდა. ბუენოს აირესის ფსიქიატრიულ კლინიკაში სამთვიანი მკურნალობის შემდეგ მარადონამ კუბაზე გამგზავრება ისურვა და ახლა მოსამართლისგან ნებართვის აღებას ცდილობს.

„საკმაოდ ასაკოვანი ვარ და გადაწყვეტილების მიღებაც შემიძლია საიმისოდ, რომ საკუთარი ცხოვრება წარვმართო“ — თქვა 43 წლის დიეგომ „კანალ 9“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში და სწორედ ამ ინტერვიუს დროს აქვითინდა კიდეც. ცრემლები მას მაშინ წამოსკდა, როდესაც განაცხადა, რომ როგორც ჩანს, მოსამართლესთან ბრძოლას აგებს.

მარადონას საუბრის ძირითადი თემა კოკაინი და მისგან გამოწვეული გულის შეტევა გახლდათ. შეგახსენებთ, რომ აპრილში იგი ათი დღით ინტენსიური მკურნალობის პალატაში მოხვდა.

დიეგო ნარკოტიკს 1982 წელს, სპორტული კარიერის მწვერვალზე ყოფნისას დაეჩვია.

„თუ ერთხელ დაიწყებ, ველარ გამოხვალ“ — თქვა დიადმა ვარსკვლავმა.

შემდეგ მან თქვა, რომ მკურნალობის გაგრძელება კუბაში უჯობს, იქ, სადაც ბოლო ოთხ წელზე მეტი გაატარა. მისი სიტყვით, კუბაზე პრესა არ უსინებს, გოლფს თამაშობს და კარგ გუნებაზეა.

დიეგო 90 კილოგრამი ყოფილა და დიეტის დაცვა გადაუწყვეტია, თუმცა წონის მიუხედავად ნაწილობრივ ისევ მოქნილია — ტელეკამერების წინ თავით აკენწლა ბურთი.

**ბაბუნა ბედია**

# სამშობლოში არ უნდოდა




მატიას ალმეიდა

„ბრეშამ“ ოფიციალურად დაადასტურა, რომ არგენტინელ ნახევარმცველ მატიას ალმეიდასთან მოილაპარაკა და ამიერიდან ის მისი ფეხბურთელია. ალმეიდა „ბრეშაში“ თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა. ერთი თვის წინ მის კონტრაქტ „ინტერთან“ ვადა გაუვიდა. ასე რომ, ლომბარდიელებს არგენტინელის შესაძენად კაპიკიც არ გაუღიათ.

საინტერესოა, რომ ალმეიდას გადაბირება მის კიდევ უფრო ადრინდელ გუნდს, „ლაციოსაც“ უნდოდა, მაგრამ ფეხბურთელმა უარი შეუთვალა იმ მოტივით, რომ სამშობლოდან „ინდეპენდიენტე“ ეპატიჟებოდა და იქ ფიქრობდა გადასვლას, თუმცა საბოლოოდ ის მაინც იტალიაში დარჩა, რადგან... არგენტინაში ოჯახის უსაფრთხოება გარანტირებული არ ექნებოდა.

აღვნიშნოთ, რომ 31 წლის ალმეიდა „ლაციომდე“ „პარმაშიც“ თამაშობდა. „ბრეშასთან“ მისი კონტრაქტი ერთწლიანია. როგორც ამბობენ, ახალ გუნდში არგენტინელის ხელფასი წელიწადში დაახლოებით 600 ათასი დოლარის ტოლფასია.

**ბაბუნა ბედია**

## ფეხბურთის რუკასთან



**იტალიური** „სიენას“ ფორვარდმა ტორე ანდრე ფლომ გადაწყვიტა, სანაკრებო კარიერა დაასრულოს. „ოდესღაც ეს მაინც მოხდებოდა. ვფიქრობ, ახლა სავსებით შესაფერისი დროა“ — თქვა 31 წლის ფლომ. ამიერიდან ნორვეგიელთა ძირითად შემადგენლობაში მის ადგილს იონ კარეუ დაიკავებს.

**გერმანულმა** „ვოლფსბურგმა“ ქვეყნის თასზე 3:0 მოუგო „კიოლნის“ მოყვარულთა გუნდს, მაგრამ „მგლებმა“ მინდორზე მარიან ხრისტოვიც გაიყვანეს, რომელსაც თამაშის უფლება არ ჰქონია. ამ დაუდევრობის გამო მოგება „კიოლნს“ ჩაეთვალა, „ვოლფსბურგი“ კი თასს გამოეშვიდობა. საბოლოოდ ამ საქმეს გუნდის მენეჯერი პეტერ პანდერი შეეწირა, რომელმაც პოსტი დატოვა. „მგლების“ თავკაცი ერიკ გერეტსი გერმანიის თასზე გარკვეულ იმედებს ამყარებდა და ძალიან უკმაყოფილოა.

**ესპანური** „ბარსელონადან“ „მიდლსბროში“ გადასული მიხაელ რაიციგერი მხრის ოპერაციას საჭიროებს. მან ტრავმა სეზონის დაწყებამდე „ჰანზასთან“ ამხანაგური მატჩისას მიიღო და ახლა გაუმიზეზდა. ექიმების თქმით, 31 წლის ჰოლანდიელს დაახლოებით 6 კვირა მოუწევს დასვენება.

**გერმანულ** პრესაში ერთ-ერთი მთავარი თემა კლაუს ტოპმიოლერის კრიტიკა და „ჰამბურგის“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან მისი შესაძლო გათავისუფლებაა. კლუბმა ბუნდესლიგის პირველ ორ ტურში ქულაც ვერ მოიპოვა, ხოლო გასულ უქმეებზე გერმანიის თასიდანაც გავარდა, სადაც რეგიონალლიგელ „პატერბორნთან“ დამარცხდა 2:4. თუმცა „ჰამბურგის“ პრეზიდენტმა ტოპმიოლერს საჯაროდ გამოუცხადა ნდობა. „წაგებებისა და ცუდი სტარტის მიუხედავად, ჩვენ ისევ გვჯერა ტოპმიოლერის. შეიძლება ითქვას, რომ ასი პროცენტითაც კი ვენდობით მას. გავრცელებული ჭორები კი უბრალოდ სასაცილოა“ — თქვა ბერნდ ჰოფმანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი. V ტური** | | | | | | |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 22.45 | 101 | ჯილინგემი-ქპრ | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 102 | ბრაიტონი-პრესტონი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 18.00 | 103 | კარდიფი-სტოკი | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| 18.00 | 104 | დერბი-ქრიუ | 1,7 | 3,3 | 4,6 | 1,12 | 1,24 | 1,92 |
| 18.00 | 105 | მილუოლი-რედინგი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 18.00 | 106 | ნოტინგემი-ქოვენთრი | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| 18.00 | 107 | როტერჰემი-იფსვიჩი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 18.00 | 108 | სანდერლენდი-უიგანი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 18.00 | 109 | უოტფორდი-პლიმუთი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 18.00 | 110 | ვესტ ჰემი-ბარნლი | 1,65 | 3,3 | 5,0 | 1,1 | 1,24 | 1,98 |
| 18.00 | 111 | ვულვერჰემპტონი-ლესტერი | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| | | **29 აგვისტო** | | | | | | |
| 15.30 | 112 | შეფილდი-ლიდსი | 2,15 | 3,1 | 3,2 | 1,26 | 1,28 | 1,57 |
| | | **ინგლისი. I ლიგა. V ტური** | | | | | | |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 22.45 | 127 | ტრანმერი-უენსდი | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,26 | 1,25 | 1,57 |
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 128 | ბარნსლი-ჰალი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 18.00 | 129 | ბლეკპული-ლუტონი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,46 | 1,24 | 1,33 |
| 18.00 | 130 | ბორნმუთი-რექსემი | 2,05 | 3,2 | 3,2 | 1,24 | 1,24 | 1,6 |
| 18.00 | 131 | ბრედფორდი-ჩესტერფილდი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 18.00 | 132 | ბრენტფორდი-სტოკპორტი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| 18.00 | 133 | კოლჩესტერი-დონკასტერი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 18.00 | 134 | ჰადერსფილდი-პიტერბრო | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| 18.00 | 135 | ოლდემი-დონსი | 1,75 | 3,2 | 4,0 | 1,13 | 1,21 | 1,77 |
| 18.00 | 136 | პორტ ვეილი-ბრისტოლი | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| 18.00 | 137 | სუინდონი-ჰარტლპული | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| 18.00 | 138 | ტორკი-უოლსოლი | 2,6 | 3,2 | 2,35 | 1,43 | 1,23 | 1,35 |
| | | **ინგლისი. II ლიგა. V ტური** | | | | | | |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 22.45 | 155 | როვერსი-საუთენდი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 156 | კემბრიჯი-სუონსი | 1,95 | 3,2 | 3,4 | 1,21 | 1,23 | 1,64 |
| 18.00 | 157 | ჩელტენემი-ბოსტონი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |
| 18.00 | 158 | ჩესტერი-დარლინგტონი | 1,95 | 3,3 | 3,3 | 1,22 | 1,22 | 1,65 |
| 18.00 | 159 | გრიმსბი-მენსფილდი | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| 18.00 | 160 | კიდერმინსტერი-უიკომბი | 2,45 | 3,1 | 2,5 | 1,36 | 1,23 | 1,38 |
| 18.00 | 161 | ლინკოლნი-ნოტსი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 18.00 | 162 | მაკლსფილდი-სკანთორპი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |
| 18.00 | 163 | ნორთჰემპტონი-ლეიტონი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 18.00 | 164 | ოქსფორდი-შრიუსბერი | 1,65 | 3,3 | 4,8 | 1,1 | 1,22 | 1,95 |
| 18.00 | 165 | როჩდეილი-ბერი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 18.00 | 166 | იოვილი-რაშდენი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. IV ტური** | | | | | | |
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 210 | აბერდინი-ლივინგსტონი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 18.00 | 211 | დანდი იუნაიტედი-ინვერნესი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 18.00 | 212 | ჰიბერნიანი-დანდი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 18.00 | 213 | მოზერუელი-ჰართსი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| | | **29 აგვისტო** | | | | | | |
| 16.00 | 214 | სელტიკი-რეინჯერსი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 18.00 | 215 | კილმარნოკი-დანფერმლაინი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი. IV ტური** | | | | | | |
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 218 | ფოლკირკი-ერდრი | 1,8 | 3,5 | 3,4 | 1,18 | 1,17 | 1,72 |
| 18.00 | 219 | ქუინი-კლაიდი | 2,8 | 3,5 | 2,1 | 1,19 | 1,19 | 1,04 |
| 18.00 | 220 | როსი-პარტიკი | 2,5 | 3,5 | 2,25 | 1,45 | 1,18 | 1,36 |
| 18.00 | 221 | სტ.ჯონსტონი-რეითი | 1,55 | 3,8 | 4,6 | 1,1 | 1,15 | 2,08 |
| 18.00 | 222 | სტ.მირენი-ჰამილტონი | 1,85 | 3,5 | 3,3 | 1,21 | 1,18 | 1,69 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი. IV ტური** | | | | | | |
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 225 | არბროთი-სტრანრარი | 2,9 | 3,6 | 2,0 | 1,6 | 1,18 | 1,28 |
| 18.00 | 226 | ეარი-მორტონი | 2,5 | 3,5 | 2,25 | 1,45 | 1,18 | 1,36 |
| 18.00 | 227 | ბრეჩინი-ალოა | 1,7 | 3,6 | 3,8 | 1,15 | 1,17 | 1,84 |
| 18.00 | 228 | დამბარტონი-ფორფარი | 2,2 | 3,6 | 2,5 | 1,36 | 1,17 | 1,47 |
| 18.00 | 229 | სტირლინგი-ბერიკი | 1,85 | 3,6 | 3,2 | 1,22 | 1,17 | 1,69 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი. IV ტური** | | | | | | |
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 232 | ალბიონი-პიტერჰედი | 3,2 | 3,6 | 1,85 | 1,69 | 1,17 | 1,22 |
| 18.00 | 233 | კოუდენბითი-ისტ სტირლინგი | 1,2 | 5,6 | 8,0 | 1 | 1,04 | 3,29 |
| 18.00 | 234 | ისტ ფაიფი-სტენჰაუზმური | 2,25 | 3,6 | 2,45 | 1,38 | 1,17 | 1,45 |
| 18.00 | 235 | ელგინი-მონტროუზი | 1,95 | 3,6 | 3,0 | 1,26 | 1,18 | 1,63 |
| 18.00 | 236 | ქუინზ პარკი-გრეტნა | 4,4 | 4,0 | 1,55 | 2,09 | 1,14 | 1,11 |
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. III ტური** | | | | | | |
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 17.30 | 026 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 17.30 | 027 | ჰერტა-მაინცი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 17.30 | 028 | ჰამბურგი-ნიურნბერგი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 17.30 | 029 | კაიზერსლაუტერნი-შტუტგარტი | 3,0 | 3,3 | 2,2 | 1,57 | 1,26 | 1,32 |
| 17.30 | 030 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 17.30 | 031 | არმინია-ბოხუმი | 1,3 | 3,2 | 2,9 | 1 | 1 | 1,52 |
| 17.30 | 032 | შალკე-ჰანზა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| | | **29 აგვისტო** | | | | | | |
| 19.30 | 033 | დორტმუნდი-ჰანოვერი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 19.30 | 034 | ვერდერი-ვილფსბურგი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. III ტური** | | | | | | |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 239 | ალემანია-კარლსრუე | 1,75 | 3,2 | 4,4 | 1,13 | 1,25 | 1,85 |
| 21.00 | 240 | მიუნხენი-ტრირი | 1,7 | 3,3 | 4,6 | 1,12 | 1,24 | 1,92 |
| 21.00 | 241 | ესენი-ერფურტი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| | | **29 აგვისტო** | | | | | | |
| 17.00 | 242 | ალენი-უნტერჰახინგი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 17.00 | 243 | ფიურტი-აუე | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 17.00 | 244 | ობერჰაუზენი-დუისბურგი | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| 17.00 | 245 | ზაარბრიუკენი-კოტბუსი | 2,9 | 3,2 | 2,25 | 1,52 | 1,26 | 1,32 |
| 17.00 | 246 | დინამო-ბურგჰაუზენი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 22.15 | 247 | კიოლნი-აინტრახტი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. I ტური** | | | | | | |
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 22.00 | 038 | ნუმანსია-ბეტისი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 22.00 | 039 | ატლეტიკო-მალაგა | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 24.00 | 040 | ესპანიოლი-დეპორტივო | 2,8 | 3,1 | 2,3 | 1,47 | 1,26 | 1,32 |
| | | **29 აგვისტო** | | | | | | |
| 21.30 | 041 | ოსასუნა-ბილბაო | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 042 | სევილია-ალბასეტე | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| 21.30 | 043 | სოსიედადი-ლევანტე | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 21.30 | 044 | სარაგოსა-ხეტაფე | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 21.30 | 045 | მალიორკა-რეალი | 4,4 | 3,3 | 1,75 | 1,88 | 1,25 | 1,14 |
| 23.30 | 046 | რასინგი-ბარსელონა | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 23.00 | 047 | ვალენსია-ვილიარეალი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი. IV ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 22.00 | 305 | ნიცა-ბასტია | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 19.15 | 306 | ბორდო-სოშო | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 22.00 | 307 | აიაჩო-რენი | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 22.00 | 308 | ოსერი-კაენი | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 22.00 | 309 | ლანსი-მონაკო | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 22.00 | 310 | ლიონი-ლილი | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |
| 22.00 | 311 | მარსელი-მეცი | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |
| 22.00 | 312 | ნანტი-ტულუზი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 22.00 | 313 | სტრასბური-ისტრი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| | | **29 აგვისტო** | | | | | | |
| 20.00 | 314 | პსჟ-სტ.ეტიენი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი. V ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 19.00 | 320 | მონპელიე-გენგამი | 2,0 | 2,8 | 3,8 | 1,16 | 1,31 | 1,61 |
| 22.00 | 321 | ბრესტი-კლერმონი | 1,8 | 2,8 | 4,6 | 1,09 | 1,29 | 1,74 |
| 22.00 | 322 | შატორუ-ნიორი | 2,2 | 2,7 | 3,4 | 1,21 | 1,33 | 1,5 |
| 22.00 | 323 | დიჟონი-ნანსი | 2,15 | 2,7 | 3,5 | 1,19 | 1,33 | 1,52 |
| 22.00 | 324 | გრენობლი-კრეტეი | 1,75 | 2,9 | 4,8 | 1,09 | 1,28 | 1,8 |
| 22.00 | 325 | გენიონი-ლე მანი | 2,2 | 2,7 | 3,4 | 1,21 | 1,33 | 1,5 |
| 22.00 | 326 | ლავალი-ანჟე | 1,9 | 2,8 | 4,2 | 1,13 | 1,3 | 1,68 |
| 22.00 | 327 | ლე ავრი-რეიმსი | 2,0 | 2,8 | 3,8 | 1,16 | 1,31 | 1,61 |
| 22.00 | 328 | სედანი-ამიენი | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,08 | 1,26 | 1,87 |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 22.15 | 329 | ტრუა-ლორიანი | 2,1 | 2,8 | 3,5 | 1,19 | 1,31 | 1,55 |

**პორტუგალია. სუპერლიგა. I ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 22.15 | 333 | ბელენენსეში-მარიტიმუ | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 00.15 | 334 | სპორტინგი-ჟილ ვისენტე | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | | **29 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 335 | ბოავიშტა-ნასიონალი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 19.00 | 336 | ეშტორილი-რიუ ავე | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 337 | მორეირენსე-გიმარაეში | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.00 | 338 | პენაფიელი-სეტუბალი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 23.30 | 339 | ბეირა მარი-ბენფიკა | 4,4 | 3,3 | 1,75 | 1,88 | 1,25 | 1,14 |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 23.30 | 340 | აკადემიკა-ბრაგა | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი. III ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 22.00 | 355 | დენ ბოსხი-ტილბურგი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 21.30 | 356 | ბრედა-პსვ | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 21.30 | 357 | როდა-გრააფსხაპი | 1,35 | 4,4 | 7,5 | 1,03 | 1,14 | 2,77 |
| 22.00 | 358 | ტვენტე-ჰერენვენი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 22.00 | 359 | ნაიმეგენი-ალკმაარი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| | | **29 აგვისტო** | | | | | | |
| 14.30 | 360 | ვიტესი-ფეიენოორდი | 4,2 | 3,4 | 1,75 | 1,87 | 1,23 | 1,15 |
| 16.30 | 361 | აიაქსი-უტრეხტი | 1,2 | 5,6 | 11,0 | 1 | 1,08 | 3,71 |
| 16.30 | 362 | ვალვაიკი-დენ ჰააგი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 16.30 | 363 | როზენდალი-გრონინგენი | 2,1 | 3,3 | 3,2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. III ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 22.00 | 367 | კამბური-დორდრეხტი | 1,75 | 3,4 | 3,8 | 1,15 | 1,19 | 1,79 |
| 22.00 | 368 | ემენი-ვენლო | 2,15 | 3,4 | 2,8 | 1,31 | 1,21 | 1,53 |
| 22.00 | 369 | ექსელსიორი-სპარტა | 2,1 | 3,3 | 3,0 | 1,28 | 1,23 | 1,57 |
| 22.00 | 370 | იგლსი-აპელდორნი | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |
| 22.00 | 371 | ჰაარლემი-ეინდჰოვენი | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| 22.00 | 372 | ჰელმონდი-ტელსტარი | 1,5 | 3,8 | 5,3 | 1,07 | 1,16 | 2,21 |
| 22.00 | 373 | ჰერაკლესი-სიტარდი | 1,35 | 4,4 | 6,5 | 1,03 | 1,11 | 2,62 |
| 22.00 | 374 | ოსი-მაასტრიხტი | 1,6 | 3,6 | 4,6 | 1,1 | 1,18 | 2,01 |
| | | **29 აგვისტო** | | | | | | |
| 16.30 | 375 | ვოლენდამი-ზვოლე | 2,25 | 3,3 | 2,7 | 1,33 | 1,22 | 1,48 |

**ბელგია**

**I დივიზიონი. IV ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 22.30 | 379 | ლუვიე-გენკი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 22.00 | 380 | ლოკერენი-მუსკრონი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 22.00 | 381 | ბრიუგე-ლიერსი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 22.00 | 382 | ვესტერლო-სერკლი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2.31 |
| 22.00 | 383 | მონსი-ოსტენდე | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 22.00 | 384 | ანდერლეხტი-გენტი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 22.00 | 385 | სტანდარდი-ბრიუსელი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | | **29 აგვისტო** | | | | | | |
| 17.00 | 386 | ბეერსხოტი-შარლერუა | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1.22 | 2,1 |
| 17.00 | 387 | სტ.ტრუიდენი-ბევერენი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა. VI ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 21.30 | 415 | ადმირა-გრაცერი | 3,5 | 3,3 | 1,9 | 1,69 | 1,23 | 1,2 |
| 21.30 | 416 | მატერსბურგი-ტიროლი | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| 21.30 | 417 | შტურმი-ბრეგენცი | 1,45 | 3,8 | 6,5 | 1,04 | 1,18 | 2,39 |
| | | **29 აგვისტო** | | | | | | |
| 21.30 | 418 | პაშინგი-რაპიდი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 21.30 | 419 | აუსტრია-ზალცბურგი | 1,4 | 3,8 | 7,5 | 1,02 | 1,17 | 2,52 |

**შვეიცარია. სუპერლიგა. VII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 19.30 | 431 | შაფჰაუზენი-აარაუ | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 21.30 | 432 | ქსამაქსი-ციურიხი | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| 21.30 | 433 | გრასჰოპერი-თუნი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| | | **29 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 434 | იანგ ბოიზი-სერვეტი | 1,65 | 3,5 | 4,6 | 1,12 | 1,21 | 1,98 |
| 18.15 | 435 | სტ.გალენი-ბაზელი | 3,6 | 3,3 | 1,85 | 1,72 | 1,22 | 1,18 |

**ნორვეგია. ტიპელიგა. XIX ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **29 აგვისტო** | | | | | | |
| 20.00 | 497 | სტაბეკი-ლინი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 20.00 | 498 | ჰამარი-ბრანი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| 20.00 | 499 | სოგნდალი-ფრედრიკსტადი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 20.00 | 500 | ოდ გრენლანდი-ვიკინგი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 20.00 | 501 | მოლდე-რუსენბორგი | 4,6 | 3,5 | 1,65 | 1,98 | 1,21 | 1,12 |
| 22.05 | 502 | ვოლერენგა-ლილესტრიომი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 503 | ტრომსიო-ბოდიო გლიმტი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |

**ნორვეგია. I დივიზიონი. XX ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 506 | ალესუნდი-ჰიოდი | 1,25 | 5,0 | 7,5 | 1 | 1,07 | 3 |
| | | **29 აგვისტო** | | | | | | |
| 20.00 | 507 | ბრინი-სანდეფიორდი | 2,3 | 3,8 | 2,35 | 1,43 | 1,16 | 1,45 |
| 20.00 | 508 | ჰაუგესუნდი-მანდალი | 2,1 | 3,8 | 2,6 | 1,35 | 1,16 | 1,54 |
| 20.00 | 509 | ჰიონეფოსი-რაუფოსი | 1,8 | 3,8 | 3,2 | 1,22 | 1,15 | 1,73 |
| 20.00 | 510 | კონგსვინგერი-ტრომსდალენი | 1,2 | 5,6 | 8,0 | 1 | 1,04 | 3,29 |
| 20.00 | 511 | მოსი-სტრიომსგოდსეტი | 2,05 | 3,8 | 2,7 | 1,33 | 1,16 | 1,57 |
| 20.00 | 512 | სკეიდი-პორს გრენლანდი | 1,6 | 4,0 | 4,2 | 1,14 | 1,15 | 2,04 |
| 20.00 | 513 | სტარტი-ვარდ ჰაუგესუნდი | 1,12 | 6,5 | 10,0 | 1 | 1 | 3,93 |

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XXI ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 19.00 | 516 | კტპ-ტამპერე | 3,0 | 3,2 | 2,15 | 1,54 | 1,25 | 1,28 |
| 19.30 | 517 | მიუპა-ტპ 47 | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 19.30 | 518 | ტურკუ-ჰაამეენლინა | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |

**ირლანდია. პრემიერლიგა. XXIV ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 22.45 | 534 | ბოჰემიანი-შემროკი | 2,0 | 3,1 | 3,3 | 1,21 | 1,24 | 1,59 |
| 22.45 | 535 | დროგედა-დუბლინი | 1,25 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,08 | 2,66 |
| 22.45 | 536 | სტ.პატრიკსი-უოტერფორდი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა. IV ტური** | | | | | | |
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 16.25 | 580 | ბლშანი-სპარტა | 4,6 | 3,4 | 1,65 | 1,95 | 1,21 | 1,11 |
| 22.00 | 581 | სლოვაცკო-იაბლონეცი | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| | | **29 აგვისტო** | | | | | | |
| 19.00 | 582 | ბუდეიოვიცე-ბოლესლავი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 19.00 | 583 | ტეპლიცე-დრნოვიცე | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 19.00 | 584 | პრჟიბრამი-ზლინი | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,17 | 1,24 | 1,66 |
| 19.00 | 585 | ოპავა-ბანიკი | 3,4 | 3,1 | 2,0 | 1,62 | 1,25 | 1,21 |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 18.40 | 586 | ლიბერეცი-სიგმა | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,21 | 1,25 | 1,62 |
| 22.00 | 587 | სლავია-ბრნო | 1,6 | 3,5 | 4,8 | 1,09 | 1,2 | 2,02 |
| | | **სლოვაკეთი. I ლიგა. V ტური** | | | | | | |
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 19.00 | 591 | ბ.ბისტრიცა-ტრნავა | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 19.00 | 592 | დუბნიცა-ჟილინა | 2,7 | 3,0 | 2,4 | 1,42 | 1,27 | 1,33 |
| 19.00 | 593 | პუხოვი-ინტერი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 19.00 | 594 | რუჟომბეროკი-ტრენჩინი | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| | | **29 აგვისტო** | | | | | | |
| 19.00 | 595 | სობოტა-პეტრჟალკა | 2,4 | 3,1 | 2,6 | 1,35 | 1,24 | 1,41 |
| | | **ხორვატია. 1.HNL. VI ტური** | | | | | | |
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 17.00 | 606 | პულა-ვარტეკსი | 2,4 | 3,1 | 2,6 | 1,35 | 1,24 | 1,41 |
| 19.00 | 607 | ჰაიდუკი-ზადარი | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,21 |
| 19.00 | 608 | მედიმურიე-კამენი | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| 19.00 | 609 | რიეკა-ოსიეკი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 19.00 | 610 | ზაგრები-სლავენი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 19.00 | 611 | ინტერი-დინამო | 3,2 | 3,2 | 2,0 | 1,6 | 1,23 | 1,23 |
| | | **პოლონეთი. I ლიგა. IV ტური** | | | | | | |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 22.00 | 622 | გროცლინი-პოგონი | 1,5 | 3,5 | 5,6 | 1,04 | 1,18 | 2,15 |
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 20.00 | 623 | ლეჩნა-ოდრა | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 20.00 | 624 | პოლონია-კატოვიცე | 1,65 | 3,3 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,88 |
| 20.00 | 625 | გურნიკი-ზაგლებე | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 22.15 | 626 | ვისლა-პლოცკი | 1,2 | 4,6 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,04 |
| | | **29 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 627 | ლეგია-კრაკოვია | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| 20.15 | 628 | ლეხი-ამიკა | 2,1 | 3,1 | 3,1 | 1,25 | 1,25 | 1,55 |
| | | **ირლანდია. თასი. 1/8 ფინალი** | | | | | | |
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 22.30 | 790 | დერი-შელბურნი | 2,6 | 3,2 | 2,35 | 1,43 | 1,23 | 1,35 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **სუპერთასი** | | | | | | |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 22.45 | 794 | პორტუ-ვალენსია | 2,9 | 3,1 | 2,35 | 1,49 | 1,29 | 1,38 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **II შესარჩევი ეტაპი. II მატჩები** | | | | | | |
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 18.30 | 817 | მოდრიცა-ლევსკი | 4,0 | 3,4 | 1,7 | 1,83 | 1,19 | 1,13 |
| 18.30 | 818 | ეკრანასი-ოდ გრენლანდი | 2,45 | 3,1 | 2,5 | 1,36 | 1,23 | 1,38 |
| 19.00 | 819 | ლევადია-ბოდიო გლიმტი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| 19.00 | 820 | რუბინი-რაპიდი | 1,95 | 3,3 | 3,3 | 1,22 | 1,22 | 1,65 |
| 19.00 | 821 | ლეგია-თბილისი | 1,15 | 5,6 | 9,0 | 1 | 1,01 | 3,45 |
| 19.30 | 822 | პრიმორიე-დინამო(ზ) | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,46 | 1,24 | 1,33 |
| 20.00 | 823 | დნიპრო-პეტრჟალკა | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| 20.00 | 824 | მეტალურგსი-იოსტერსი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 20.00 | 825 | დინამო(თბ)-სლავია | 2,5 | 3,1 | 2,35 | 1,38 | 1,21 | 1,33 |
| 20.00 | 826 | ჰაკა-სტაბეკი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 20.30 | 828 | მაკაბი(ფ.თ)-აეკ(კვ) | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1,04 | 1,16 | 2,32 |
| 20.45 | 829 | ზენიტი-პაშინგი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 21.00 | 830 | ტირასპოლი-მეტალურგი | 3,6 | 3,2 | 1,85 | 1,69 | 1,22 | 1,17 |
| 21.00 | 831 | სიგმა-ნისტრუ | 1,25 | 4,6 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,04 |
| 21.00 | 832 | აკრანესი-ჰამარბი | 3,0 | 3,2 | 2,15 | 1,54 | 1,25 | 1,28 |
| 21.00 | 833 | ვადუცი-ბევერენი | 2,6 | 3,2 | 2,35 | 1,43 | 1,23 | 1,35 |
| 21.05 | 835 | ლიტექსი-ჟელეზნიჩარი | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1,04 | 1,16 | 2,32 |
| 21.30 | 836 | ელფსბორგი-გლენტორანი | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 21.30 | 837 | პარტიზანი(ბ)-ოცელული | 1,25 | 4,6 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,04 |
| 21.30 | 838 | სტიაუა-ჟელეზნიკი | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| 21.30 | 839 | რიეკა-გენჩლერბირლიგი | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| 21.30 | 840 | ცსკა(ს)-ომონია | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| 22.00 | 842 | ლეხი-ტერეკი | 1,6 | 3,3 | 5,0 | 1,07 | 1,21 | 1,98 |
| 22.00 | 843 | ვილი-ბ.ბისტრიცა | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 22.00 | 844 | მარიბორი-ბუდუჩნოსტი | 1,4 | 3,8 | 6,0 | 1,02 | 1,13 | 2,32 |
| 22.00 | 845 | სერვეტი-უიპეშტი | 1,6 | 3,5 | 4,6 | 1,09 | 1,18 | 1,98 |
| 22.45 | 847 | აუსტრია-ილიჩოვეცი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| 22.45 | 848 | დანფერმლაინი-ჰაფნარფიორდური | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | | **კალათბურთი** | | | | | | |
| | | **ოლიმპიადა** | | | | | | |
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 15.30 | 1013 | ესპანეთი-აშშ | 2,4 | 10,0 | 1,4 | | | |
| | 1014 | ესპანეთი-აშშ 5:0 | 1,8 | 10,0 | 1,8 | | | |
| 17.45 | 1015 | ლიტვა-ჩინეთი | 1,03 | 10,0 | 6,5 | | | |
| | 1016 | ლიტვა-ჩინეთი 0:15 | 1,8 | 10,0 | 1,8 | | | |
| 21.00 | 1017 | იტალია-პუერტო რიკო | 1,4 | 10,0 | 2,4 | | | |
| | 1018 | იტალია-პუერტო რიკო 0:5 | 1,8 | 10,0 | 1,8 | | | |
| 23.15 | 1019 | საბერძნეთი-არგენტინა | 1,85 | 10,0 | 1,75 | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ისარგებლეთ
კროკოს ახალი
მომსახურებით

CROCO
BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI

10
42 00 24
+%

## ფორმულა 1 (ბელგია). 28 აგვისტო (12.00)

| 8001 გამარჯვებული | 8201 ექვსეული | 8301 უსწრ. წრე |
|---|---|---|
| მ.შუმახერი ------------- 1,3 | 1,05 ---------- 1,02 | 1,35 |
| ბარიკელო ------------- 6,5 | 1,5 ------------ 1,1 | 4,0 |
| მონტოია -------------- 15,0 | 2,6 ------------ 1,2 | 7,0 |
| პიცონია --------------- 50,0 | 7,0 ------------ 1,6 | 25,0 |
| კულტჰარდი --------- 20,0 | 4,0 ------------ 1,3 | 15,0 |
| რაიკონენი ------------ 6,5 | 1,5 ------------ 1,1 | 5,0 |
| ტრული --------------- 20,0 | 3,8 ----------- 1,25 | 15,0 |
| ალონსო -------------- 11,0 | 2,45 ---------- 1,18 | 10,0 |
| ბატონი ----------------- 9,0 | 1,9 ----------- 1,15 | 6,0 |
| სატო ----------------- 30,0 | 4,8 ------------ 1,4 | 20,0 |
| ფიზიკელა ------------ 100,0 | 20,0 ----------- 3,0 | 40,0 |
| მასა ------------------ 150,0 | 20,0 ----------- 3,5 | 50,0 |
| უებერი --------------- 100,0 | 20,0 ----------- 3,0 | 40,0 |
| კლიენი --------------- 150,0 | 20,0 ----------- 3,5 | 50,0 |
| ზონტა ---------------- 150,0 | 20,0 ----------- 3,5 | 50,0 |
| პანისი --------------- 150,0 | 20,0 ----------- 3,5 | 50,0 |
| ჰაიდფელდი --------- 250,0 | 50,0 ----------- 7,0 | 75,0 |
| პანტანო ------------- 300,0 | 50,0 ----------- 7,0 | 75,0 |
| ბრუნი ---------------- 500,0 | 100,0 ---------- 12,0 | 100,0 |
| ბაუმგარტნერი ------ 500,0 | 100,0 ---------- 12,0 | 100,0 |

# უეფას თასი 2004-2005

## მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

თბილისი. 26 აგვისტო. 20 საათი. ეროვნული

## დინამო – სლავია

პირველი მატჩი 1:3

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დინამოს უნდა დი-ნა-მო!

გუშინ თბილისის „დინამოს“ თავკაცმა გია გეგუჩაძემ დიღმის ბაზაზე მიგვიწვია საპრესკონფერენციოდ, რომელსაც ჩეხი ჟურნალისტებიც ბლომად დაესწრნენ. ვერ გეტყვით, ჩეხები არიან თავშეკავებულნი თუ სხვა რამ მიზეზია, ფაქტი კია — სტუმრები გეგუჩაძეს მხოლოდ უსმენდნენ და დასტურის ნიშნად თავს აკანტურებდნენ. ჩვენც გეგუჩაძის ნაუბარს მონოლოგის სახით გთავაზობთ...

... ვიცით, რომ ძალიან რთული მატჩი გველის. მეც და ბიჭებსაც „სლავიას“ ძალა გათვითცნობიერებული გვაქვს. ადრეც ვამბობდი, რომ პრაღაში სამი გოლი არ უნდა გაგვეშვა, მაგრამ ეს უკვე წარსულია და მხოლოდ ხვალინდელ თამაშზე უნდა ვიფიქროთ. შეუძლებელი არაფერია, ჩვენ მოგება შეგვიძლია.

... გუნდში ნორმალური ვითარებაა. ყველა სერიოზულად ემზადება და ვეცდებით, გულშემატკივარი არ გავაწბილოთ.

... ერთადერთი ტრავმირებული ლევან სილაგაძეა, დანარჩენები ჯანზე არიან და მთელი დატვირთვით ვარჯიშობენ, მათ შორის დავით კვირკველიაც. იგი ძალიან მონდომებულია.

... პრაღაში წაგების გამო განსაკუთრებული ზომები არ მიგვიღია. გუნდმა ჩვეულებრივად გაიარა რთული მზადება. ჩვენ პატივს ვცემთ „სლავიას“, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მის სიძლიერეს ვეგუებით. მეტოქეს არაფერს დავუთმობთ.

... მატჩის 18-კაციან განაცხადს დღევანდელი ვარჯიშის შემდეგ შევადგენ. ამიტომ წინასწარ ვერ გეტყვით, ვის შეეძლება თამაში და ვის ვერა.

... ბიჭები ამ ბარიერის გადალახვის შემთხვევაში პრემიებს აუცილებლად მიიღებენ. ეს ნორმალური ამბავია და ვერაფერ განსაკუთრებულს ამაში ვერ ვხედავ. ჩვენ სტიმული ძალიან გვჭირდება.

... ადრევე ვთქვი, რომ უეფას თასზე კონკრეტული მიზანი არ გვაქვს. რაც უფრო შორს გავალთ, მით უკეთესი. არა მგონია, „სლავიასთან“ ხვალინდელი მატჩი ბოლო იყოს ჩვენთვის, დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ.

... „სლავიას“ შესახებ ბოლო ინფორმაციები მივიღე და არ მაშინებს ის ფაქტი, რომ რამდენიმე ფეხბურთელმა ტრავმა მოიშუშა. როგორც გავიგე, ერთი ახალი ფეხბურთელიც შეუძენიათ, თუმც მას ჩვენთან თამაშის უფლება არ აქვს.

... ახალს არაფერს ვიტყვი — გულშემატკივრის მხარდაჭერას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ყველას მივმართავ და ხვალ „ეროვნულზე“ ვეპატიჟები. კარგი იქნება, თუ ხალხი ბლომად მოვა და გვიქომაგებს. ეს უდიდესი ძალაა. ქართველ გულშემატკივარს შეუძლია, ფეხბურთელს შეუძლებელი გააკეთებინოს. ჩვენ კი მათ გასახარებლად უკან არ დავიხევთ.

ეს თქვა გია გეგუჩაძემ და რამდენიმე წუთში „დინამოს“ ვარჯიშიც დაიწყო. ფეხბურთელებს ხალისიანი განწყობა ჰქონდათ და მწვრთნელის მითითებებსაც გულმოდგინედ ასრულებდნენ. ვარჯიში, ცხადია, მსუბუქი გახლდათ, ძირითადად ბურთთან ერთად და შებინდებისას დასრულდა.

დღეს კი მატჩია: „დინამო“ — „სლავია“. ჰოდა, წავიდეთ სტადიონზე და ვუქომაგოთ ჩვენს გუნდს. „დინამოს“, სულ მცირე, ორი უპასუხო გოლით მოგება სჭირდება, რათა შემდეგ ეტაპზე გავიდეს. იქიდან კი უეფას თასის ძირითად, ჯგუფურ ეტაპამდე ერთი ნაბიჯილაა.



ლაშა სალუქვაძემ და ჯაბა დვალმა ბურთით „წაუცეკვეს“

**კახა შალამბერიძე**

# თბილისი ევროპაში იშვიათია

## ცაპლარს ჰეფი ენდი მოენატრა



იოზეფ ცაპლარი

შარშანწინ ჩეხური წყენის გარდა „დინამოს“ სასჯელიც გამოუწერეს — „ლიბერეცთან“ თბილისურ მატჩში ტრიბუნებიდან ნაირგვარი საგნები ისროლეს და ერთი წლის შემდეგ დინამოელებმა ალბანურ „ტირანას“ უგულშემატკივრო „ეროვნულზე“ უმასპინძლეს.

ჰოდა, დღეს უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები იქნება მიღებული. თბილისის პოლიციის სამმართველოს აპარატის უფროსი მიხეილ გიორგაძე მატჩზე თავის ბიჭებს კი გაუშვებს, მაგრამ „დინამოს“ ხელმძღვანელობა ამას არ დასჯერდება — უსაფრთხოებისთვის და მატჩის სათანადო დონეზე ორგანიზებისთვის ფირმა „ალიგატორიც“ ჩართო საქმეში — უბილეთოდ ვერავინ შევა და სტადიონის ყოველი წერტილი დაცული იქნება. „დინამოში“ მატჩების ორგანიზებაზე პასუხისმგებელი გია ისიანი გახლავთ და მისგან ისიც შევიტყვეთ, რომ სტადიონზე საამმატჩოდ ოთხი კარი გაიღება და თამაშს ალბათ ათი ათასზე მეტი ქომაგი დაესწრება. ბილეთი ორი ლარი ღირს. „დინამოში“ ისიც გვითხრეს, ქალაქის პრემიერის ბიძინა ბრეგაძის მადლიერნი ვართ, მერიამ მატჩის ორგანიზებაში ხელი კარგად შეგვიწყოო.

თუმც შეხვედრის ორგანიზება „დინამოს“ თამაშს ვერ მოაგებინებს. კლუბის მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილი და გუნდის მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე „სლავიას“ ვარჯიშზე „სლავიაზე“ ადრე მივიდნენ და იოზეფ ცაპლარის გუნდის წვრთნას „ეროვნულის“ პირველი იარუსიდან ადევნეს თვალი.

„სლავიას“ ტრეინინგში განსაკუთრებულს ვერაფერს შენიშნავდით, პრაღელებმა მატონიზებელი ვარჯიში გამართეს, მაგრამ მაინც ეტყობოდათ, რომ „დინამოს“ სერიოზული მეტოქე ჰყავს.

ვარჯიშის წინ კი ცაპლარმა ხანმოკლე პრესკონფერენცია მოაწყო. ღონისძიებას ქართველი და ჩეხი ჟურნალისტებიც ესწრებოდნენ, თუმც ცაპლარს მხოლოდ აქაურმა მედიელებმა დაუშინეს კითხვები.

„დინამოს“ დიდ პატივს ვცემ, მაგრამ აქ იმიტომ ჩამოვედით, რომ გავიმარჯვოთ — ასე დაიწყო პრესკონფერენცია ცაპლარმა. პრაღელთა დამრიგებელმა ნათქვამს ისიც დააყოლა, „დინამომ“ თავისი ძალა პრაღაში უკვე დაგვანახა და ასეთ გუნდთან 3:1 რომ მოვიგეთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი შემდეგ ეტაპზე გასვლა გადაწყვეტილიაო.

ცაპლარს თუ ვერწმუნებით, მისი გუნდის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა უზადოა. ამის საბუთი პრაღაში მოგებული მატჩიაო, გვითხრა.

„სლავიას“ ორი ტრავმიანი ფეხბურთელი მოაკლდება — მცველი ვოლენოკი და შუახაზელი რუბიჩკა, თუმც მათ პრაღაშიც არ უთამაშიათ.

როცა წილისყრამ „დინამო“ და „სლავია“ ერთმანეთს შეჰყარა, ცაპლარმა თქვა, შარშანწინ „ლიბერეცის“ მთავარი მწვრთნელის თანაშემწე რომ ვიყავი, თბილისის მატჩში ძალიან დამუხტული ატმოსფერო იყოო. გუშინ კი ცაპლარმა განაცხადა, ასეთი სიტუაციას ევროპაში იშვიათად თუ შეხვდები, მაგრამ „დინამო“ — „ლებერეცის“ მატჩს ჩვენთვის ბედნიერი დასასრული ჰქონდაო.

და, როგორ ითამაშებს „სლავია“ დღეს? ცაპლარს თუ დავუჯერებთ, „სლავია“ დაცვაში არ ჩაჯდება და აქტიურ ფეხბურთს ითამაშებს.



გია გეგუჩაძემ და დავით პეტრიაშვილმა „სლავიას“ ერთხელაც შეავლეს თვალი

ცაპლარი „დინამოს“ სამჯერ ეპაექრა, ორჯერ „ლიბერეცით“ და ერთხელ „სლავიათი“ და გვითხრა, „დინამომ“ სამივეჯერ დაამტკიცა თავისი პროფესიონალიზმიო. მან ისიც დასძინა, რომ ახლანდელი და შარშანწინდელი „დინამო“ ერთობ განსხვავდება, მაგრამ არა პროფესიული ღირსებებით.

„სლავიას“ დამრიგებელს დღევანდელი მატჩის შანსებზეც ვკითხეთ და გვიპასუხა, პროცენტულად ვერაფერს გეტყვით, პროგნოზს ციფრებით არ ვაკეთებო. თუმც ცაპლარმა ისიც დასძინა, რეიტინგული მაჩვენებლებით „სლავია“ ფავორიტიაო.

**დავით თავართქილაძე**



ჩეხთა ძველი ვარსკვლავები რადეკ ბეიბლი და პაველ კუკა „ეროვნულზე“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გოლი? საქართველოს ნაკრების უპირველესი ხარვეზი



ცოტაც და, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მორიგი შესარჩევი ციკლი დაეწყება — 4 სექტემბერს თურქეთთან სტუმრობით 2006 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპს გახსნის. პირველადაა, რომ ქვეყნის უპირველესი გუნდი შესარჩევ ციკლს უცხოელი მწვრთნელით იწყებს — ალენ ჟირესი პრესკონფერენციას 27 აგვისტოს გამართავს, გუშინ კი მის თანაშემწე გია გურულს ვესაუბრეთ...

— ნაკრებმა ბოლო ორი ამხანაგური მატჩი წააგო — ჯერ შინ ისრაელთან 0:1, მერე იმავე ანგარიშით სტუმრად მოლდოვასთან — ამან გუნდის პერსპექტივა ალბათ უფრო დაამძიმა...

— ხარვეზები არის, მაგრამ გუნდის სათამაშო დისციპლინა თანდათან უმჯობესდება. გულშემატკივარმა არ უნდა იფიქროს, რომ კატასტროფული ვითარებაა.

— ბოლო ორ თამაშში საქართველოს ნაკრებმა ერთი გოლიც ვერ გაიტანა — ამას უმნიშვნელო ფაქტორად მიიჩნევთ?

— ეს ჩვენი ნაკრების ყველაზე დიდი ხარვეზია.

— მოლდოვასთან მატჩმა ისიც გვიჩვენა, რომ იმ გამოცდილმა ფეხბურთელებმა, რომლებსაც ალენ ჟირესი ალბათ ყველაზე უფრო ენდობა, არცთუ ძლიერად ითამაშეს...

— როცა გუნდი აგებს, ეს მთელი კოლექტივის ბრალია. ასე რომ, მარცხს კონკრეტულად ვერავის დავაბრალებ. გამარჯვების დროსაც მთელი გუნდი იგებს თამაშს.

— განა არ არიან ცალკეული ფეხბურთელები, რომლებიც თამაშს იგებენ, თუ ასეთებს ჩვენს ნაკრებში ვერ ხედავთ? თემურ ქეცბაია, გიორგი ქინქლაძე, შოთა არველაძე — ეს ფეხბურთელები ნაკრებში აღარ თამაშობენ და სხვებს არ ძალუძთ თამაშების შემობრუნება, გარდატეხის შეტანა?

— თამაშის გამომძრობი ფეხბურთელები ზოგიერთ გუნდს მართლაც ჰყავს, მაგალითად, არგენტინას ჰყავდა მარადონა. რაც შეეხება გარდატეხის შემტან ფეხბურთელებს საქართველოს ნაკრებში, ქეცბაიამ ფაქტობრივად თავი დაანება თამაშს, მოთამაშე-მწვრთნელია, ქინქლაძე უგუნდოდაა, არველაძე კი თამაშობს და ჩვენ არ გვითქვამს, რომ ის ნაკრების წევრი აღარაა. მას მალე ტელეფონით დაველაპარაკებით. კაცს ლაპარაკზე ეტყობა, როგორი მოწადინებულია, გულში რა უდევს და ითამაშებს თუ არა არველაძე ნაკრებში, ამის შემდეგ გაირკვევა.

— როგორ ფიქრობთ, ნაკრებს ყველა რგოლში უნდა ჰყავდეს ლიდერი, რათა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიოს?

— მინდორზე ფეხბურთელი თანაგუნდელს რომ კარნახობს, თანამედროვე ფეხბურთში ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. ჩვენს გუნდში დღეს ასეთი კარნახი ძალიან ცოტაა. ძალიან კარგი მეკარეა გიორგი ლომაია, მაგრამ თანაგუნდელებს მეტი უნდა უკარნახოს. მოლდოვასთან უკანა მცველი იყო გივი კვარაცხელია, მის წინ კი კახა კალაძე და ზურაბ ხიზანიშვილი იყვნენ. ალბათ უხერხულიც იყო მისთვის, კალაძისთვის რამე ეკარნახა, მაგრამ ასეთი ბარიერები უნდა გადაილახოს — ვინც უკან დგას, ის ყველაფერს უკეთ ხედავს და თანაგუნდელებს უნდა უკარნახოს.

— ჟირესს არ სურს, რომ დაცვაში მოკარნახის როლი კალაძეს დაეკისროს?

— ამ შემთხვევაში იმას აქვს მნიშვნელობა, თუ ვინ რა პოზიციაზე თამაშობს — წინა მცველი უკანას ვერ უკარნახებს.

— სად ხედავს მალხაზ ასათიანის ადგილს ნაკრებში ალენ ჟირესი? ასათიანი მოსკოვის „ლოკომოტივში" მეტწილად უკანა მცველად თამაშობს და საკმაოდ ნორმალურადაც, თუმც ბევრს მიაჩნია, რომ ასათიანი თუ თამაშს გაამწვავებს და შეუტევს, უფრო ეფექტური იქნება.

— საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ასათიანი ნიჭიერი ფეხბურთელია და მის სანაკრებო პოზიციაზე ბევრს ვბჭობთ. თუმც ისიცაა, რომ ისეთი ნახევარმცველები, რომლებიც თამაშს ამწვავებენ, საქართველოს საკმაოდ ჰყავს, ჩამშლელები კი არა. ჩემი აზრით, ასათიანმა ნაკრებში უფრო უკნიდან უნდა ითამაშოს, თუმც ყველაფერს ჟირესი გადაწყვეტს.

— 4 სექტემბერს თურქეთთან მატჩში რას უნდა ველოდოთ?

— ჟირესმა ფეხბურთელებს უთხრა, თქვენ ნაკრებში ჰონორარებისთვის ვერ ითამაშებთ, რასაც კლუბში იღებთ, იმდენს ნაკრებში ვერ მოგცემენ და ნაკრებში პრემიებიც რომ არ იყოს, უნდა იცოდეთ, რისთვის თამაშობთო. ფეხბურთელებიც ხვდებიან, რომ ჟირესი ის კაცი არ არის, ვინც სიტყვებს ჰაერზე ისვრის. ვფიქრობ, ნელ-ნელა წინ წავიწევთ.

**დავით თავართქილაძე**



ერთხელ კარგად თურქეთდაცდილ მალხაზ ასათიანს ჟირესი სიურპრიზს უმზადებს

# თურქეთი ისრაელს არ გვაპატიებს

*ეროვნული ნაკრებისგან განსხვავებით 21-წლამდელებთან სასაყვედურო ჯერჯერობით არაფერი გვაქვს. გოჩა ტყებუჩავამ აშკარად დაატყო გუნდს თავისი ხელი და ჩვენებმაც ბოლო ორი ამხანაგური მატჩი მოიგეს — ისრაელთან 3:0 და მოლდოვასთან 3:1.*

*ახლა კი ოფიციალური მატჩის ჯერია — რამდენიმე დღეც და ტყებუჩავას შეგირდებს თურქ თანატოლებთან მოუწევთ საქმის დაჭერა. რა ვითარებაა დღეს გუნდში და კმაყოფილია თუ არა მწვრთნელი თავისი რჩეულებით, ამის გასარკვევად გუშინ გოჩა ტყებუჩავას ვესაუბრეთ...*

— ერთი კვირის წინ კიშინიოვში მოლდოვას 3:1 მოუგეთ და ჩვენი საუბარიც აქედან დავიწყოთ. კმაყოფილი ხართ გუნდის თამაშით?

— სხვათა შორის, თბილისში დაბრუნებულმა ჩვენი და ეროვნული ნაკრების მატჩების ფირები რომ ვნახე, გაკვირვებული დავრჩი. თურმე ჩვენ ვერ გვითამაშია ისე, როგორც საჭირო იყო, მაგრამ მაინც მოვიგეთ. ეროვნულმა ნაკრებმა კი პირიქით, კარგად ითამაშა და წააგო. ამით იმის თქმა მინდა, რომ მოგებამ თვალები არ უნდა დაგვიბინდოს. მართალია, ჩემი ბიჭების თამაშით მეტ-ნაკლებად კმაყოფილი დავრჩი, მაგრამ სამუშაო ჯერაც ბევრი გვაქვს.

— რა შედეგი დაგაკმაყოფილებთ თურქეთში?

— წაგების გარდა ყველაფერი.

— ესე იგი, ფრეზე თანახმა ხართ...

— ასეა.

— მეტოქეზე რა იცით? საქარველოს ახალგაზრდულ ნაკრებს თურქეთი ერთხელ უკვე დაუმარცხებია, ოღონდ ამხანაგურ მატჩში...

— ინფორმაციის ნაკლებობას ნამდვილად არ ვუჩივი. საერთოდ, თურქეთი ძალიან მომწონს, კარგი გუნდია, ფრანგულ ტურნეზე მათი ბელგიასთან და საფრანგეთთან თამაშის კასეტები ვნახე და ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს.

— მაინც რა პლუსები აქვთ?

— არანორმალურად ბევრს დარბიან, სულ მოძრაობაში არიან. სანიმუშოა სათამაშო დისციპლინა. ერთი სიტყვით, ეტყობა, რომ სერიოზული გუნდია. გამორჩევით არავის გამოვარჩევ, თავდამსხმელები კი მომეწონა, მაგრამ მაინც უფრო შეკრული გუნდია.

— შეგიძლიათ თქვათ, რომ თურქეთში წასაყვანი შემადგენლობა უკვე შერჩეული გყავთ?

— შესაძლოა, რაღაც-რაღაცეები კიდევ შეიცვალოს. მოლდოვაში ერთი-ორი ფეხბურთელის თამაშით უკმაყოფილო დავრჩი და საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია.

— ვინ არ მოგეწონათ?

— მოდით, ამ კითხვას უპასუხოდ დავტოვებ. ჩემგან არაკორექტული იქნება ამის თქმა.

— მწვრთნელ გოჩა ტყებუჩავას ხელწერა „დინამოდან" მახსოვს. თქვენი საყვარელი სქემაა 3-5-2. ნაკრებშიც ამავე ტაქტიკით აპირებთ თამაშს თუ რაიმეს შეცვლით?

— მაშინ ამ ტაქტიკას რომ ვიყენებდი, გამოუცდელი ვიყავი და ზოგ შემთხვევაში კარგი შედეგი არ მომცა. ახლა უფრო წინ ვიხედები. მაგალითად, თურქეთში სამი მცველით თამაში გამორიცხული მგონია — შეიძლება, ძვირად დაგვიჯდეს. ნაკრებში უფრო სხვა ტაქტიკას ვამუშავებთ და ამ ხნის მანძილზე ბიჭებს ჩემს მოსაზრებებს ვაცნობდი. თუმცა, რა თქმა უნდა, ამაში კონტინგენტმაც უნდა შემიწყოს ხელი. მე მოედანზე დამდგარ ფეხბურთელს ვერ ავიტან. ყველამ ბოლომდე უნდა იბრძოლოს, ჟინიანი ბიჭები მომწონს. განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ ფლანგების კონტროლს და, ცხადია, დისციპლინას. 21 წლის ბიჭი ბურთს რომ ვერ გააჩერებს, ნაკრებში არაფერი ესაქმება.

— ადრე ბევრი ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ყველა ასაკობრივმა ნაკრებმა ეროვნული გუნდის ტაქტიკით უნდა ითამაშოს. თქვენ ალენ ჟირესთან ხშირი კონტაქტი გაქვთ...

— მივხვდი... მე და ბატონი ალენი ყოველდღე ვხვდებით ერთმანეთს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემს ტაქტიკაში ერევა. პირიქით, ჟირესი ძალიან მეხმარება, რჩევებს მაძლევს. ერთნაირი ტაქტიკით თამაშზე კი საუბარიც არ გვქონია. ყოველ შემთხვევაში, ეს საკითხი ჯერჯერობით არ დამდგარა.

— ამხანაგურ მატჩებში ჟირესმა ახალგაზრდული ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელი მიიწვია. ხომ არ არის იმის საშიშროება, რომ „განაწილება" გაგიჭირდეთ?

— ოღონდ ეროვნულ ნაკრებს ვინმე გამოადგეს და ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება. ვთვლი, რომ დღეს ახალგაზრდული ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელს ეროვნულში მოხვედრა შეუძლია. ამისთვის შრომაა საჭირო. ახლაც, ოფიციალურ მატჩებამდე ბევრი დრო არაა დარჩენილი და კარგი იქნება, ნაკრების წევრები თავიანთ კლუბებში პრაქტიკას თუ არ მოიკლებენ. ეს ჩემთვის აუცილებელია. ფეხბურთელს 90 წუთი თამაში უნდა შეეძლოს.

— ისრაელთან და მოლდოვასთან მატჩებს როგორ შეადარებთ, წინსვლა იგრძნობა?

— წინსვლას ვერ ვიტყვი. უბრალოდ, ორივე მატჩში იყო მომენტები, რომლებიც მომეწონა და პირიქით. მაგალითად, ებრაელებთან კაცი გაგვიგდეს და ასეთ რამეს თურქეთში არ გვაპატიებენ. თურქები პროვოკაციებს არ მოერიდებიან და ჩვენც თუ ავყევით, დავისჯებით. მოლდოვაში კი შედარებით გადახალისებული გუნდი მყავდა წაყვანილი — ბევრი ახალი ფეხბურთელი მივიწვიე. ასე რომ, შედარების გაკეთება ძნელია.

— ირაკლი მოდებაძეს მაშინ იწვევდით ნაკრებში, როცა ის ფაქტობრივად უთამაშებელი იყო. ეს თქვენთვის პრობლემა არაა?

— ირაკლის ყველგან ვაკვირდებოდი. ზაპოროჟიეს „მეტალურგის" ძირითადში არ იყო, მაგრამ დუბლებში კი თამაშობდა. მერე „თბილისის" ვარჯიშებსაც ვესწრებოდი. ერთი სიტყვით, მასზე ინფორმაცია მქონდა. მეც ვენდე და გამიმართლა — ისრაელთანაც და მოლდოვასთანაც გოლი გაიტანა.

— ვის მიიჩნევთ დღეს ახალგაზრდული ნაკრების ლიდერად?

— არა, ასე ვერავის დავასახელებ. ჩვენ გუნდურ ფეხბურთს ვანიჭებთ უპირატესობას და ვინმეს გამორჩევა არ მინდა.

**კახა შალამბერიძე**

## უეფას თასი 2004-2005
მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

ვარშავა. 26 აგვისტო. 19 საათი. ვოისკა პოლსკი
## ლეგია - თბილისი
პირველი მატჩი 1:0

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავაკაკუნოთ ხეზე სამჯერ
## ვინ გადაურბენს შავ კატას?



დავით ერაძე
ვარშავიდან

„თბილისმა“ თავისი ვარშავული ავიამარშრუტი სამჯერ შეცვალა. საბჭოური ტუ-ების გამო პოლონეთის დედაქალაქში ბრესტის გავლით, ავტობუსებით წასვლაც კი გვიწევდა. უკეთეს შემთხვევაში, რაც ჩეხეთში დინამოელებს შეემთხვათ, ის გველქნებოდა გარანტირებული — მთელი ღამე აეროპორტის ნეიტრალურ ზონაში ყურყუტი. საბოლოოდ ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი გამოინახა და თბილისის დროით 20 საათზე ბოინგ 737-ით ქართული კლუბი და მის თანმხლებ პირთა 36-კაციანი დელეგაცია პოლონეთს გაფრინდა.

გუნდში ნორმალური განწყობაა. ბიჭებს მომავალი მატჩის საწყისი წუთები აფიქრებთ: „მთავარია, 10-15 წუთი გავძლოთ და მერე იქით უნდა ვანერვიულოთ“ — გვითხრა გივი კვარაცხელიამ. ვარშავამდე თითქმის სამი საათის საფრენია. იქ საკმაოდ ცივა, წვიმების სეზონია და თამაშის დღესაც წვიმას ელიან.

„თბილისს“ აეროპორტში „ლეგიას“ წარმომადგენლები დახვდნენ. სავიზო კონტროლს დიდი დრო არ წაუღია. აეროპორტიდან ვარშავამდე 20-25 წუთის სავალია. მიუხედავად იმისა, რომ უკვე საკმაოდ გვიანია და ბნელა, ადვილი საგრძნობია, რომ ნამდვილ ევროპაში ვართ: ჩინებული გზები და გაჩირაღდნებული გარემო.

„თბილისი“ ოთხვარსკვლავიან სასტუმრო „ჩორნი კოტში“ დაბინავდა. ხეზე ვაკაკუნებთ, ეგებ „ლეგიას“ სწორედ შავი კატასავით გადავურბინოთ?! გუნდს არ უვარჯიშია, უკვე ძალიან გვიანაა.

„ლეგიამ“, ბუნებრივია, თბილისელთა ჩასვლამდე ივარჯიშა და დარიუშ კუბიცკიმ პრესკონფერენციაც გამართა. პოლონელი კოლეგებისგან გავიგეთ, რაც უთქვამს, ქართველებთან რთული მატჩისთვის ვემზადები, მეტოქე ფეთქებად და ძნელად პროგნოზირებად ფეხბურთს თამაშობს და სიფრთხილეა საჭიროო. კოლეგებისგანვე შევიტყვე, რომ „ლეგიას“ პრობლემები აქვს, გუნდს საკუთარი გულშემატკივარიც შემოსწყრომია და შესაძლოა, ანშლაგიც არ იყოს. თუმცა დარიუშ კუბიცკის პრესკონფერენციაზე უთქვამს, „თბილისთან“ საუკეთესო თამაშს ვითამაშებთ და გულშემატკივრები ისევ გვერდში დაგვიდგებიანო. აქ „ლეგიას“ ფანობით ერთობ ამაყობენ — თუ ხასიათზე არიან, თავი ჯოჯოხეთში გეგონებათო. დაბოლოს: ვარშავა ღამით ცხოვრობს, ერთი ცნობილი ქართული ჰიტისა არ იყოს — სულ მოკლე კაბა და ქალები... ჰოი, საოცრებავ, მატჩის საანონსო პლაკატებიც გამოჩნდა...

## მოყვარულთა ევროპის ჩემპიონატი
კახოვკა 22-26 აგვისტო

**მოლდოვა 0:5 საქართველო**
0:1, 0:2 ზედელაშვილი (13, 36), 0:3 ნიქარიშვილი (68), 0:4 ზედელაშვილი (80), 0:5 ოსიტაშვილი (81)
საქართველო: ფანჩულიძე, გამხიტაშვილი, ჭეიშვილი, გალეგაშვილი, გ. ლეკიშვილი, ჯოჯუა, ლეკიშვილი (კირკიტაძე 84), ოსიტაშვილი, გუდაძე (ზაკუტაშვილი 77), ზედელაშვილი, ნიქარიძე
მწვრთნელი: ელგუჯა გუგუშვილი

II ტური
**უკრაინა 3:1 ბელარუსი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 2 | 2 | 0 | 0 | 10:1 | 6 |
| უკრაინა | 2 | 2 | 0 | 0 | 11:3 | 6 |
| ბელარუსი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:8 | 0 |
| მოლდოვა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:13 | 0 |

III ტური. დღეს
საქართველო — უკრაინა
ბელარუსი — მოლდოვა



რაც სეზონი დაიწყო, დავით სევასტოპულო მოედნიდან უგოლოდ არ გასულა

## დავით ყიფიანის თასი
მეთექვსმეტედფინალი. პირველი მატჩები

ტორპედო ქუთაისი 6:0 გურია ლანჩხუთი (I)
კოლხეთი ფოთი 5:0 ეგრისი სენაკი (II)
ბათუმი 4:0 ხობი (II)
ზესტაფონი 3:2 მალაროელი ჭიათურა (I)
ლოკომოტივი თბილისი 3:0 ივერია ხაშური (I)
სიონი ბოლნისი 2:2 ბორჯომი (I)
რუსთავი (I) 2:1 ჭაბუკიანი (II)
სპარტაკი თბილისი (I) 3:1 ცხუმი სოხუმი (II)
ცხინვალი (I) 2:0 მუხრანი (II)
მილანი-მერანი თბილისი (I) 2:0 კახეთი თელავი (I)
პრემა თბილისი (II) 1:0 საგარეჯო (I)

*საპასუხო მატჩები 3 სექტემბერს გაიმართება*

საჩხერე. 25 აგვისტო. 17 საათი. ცენტრალური. 400 მაყურებელი

**ჩიხურა 1:2 ამერი**

0:1 სევასტოპულო (21), 0:2 დავითაშვილი (57), 1:2 გოდერძიშვილი (66)

ჩიხურა: გუგუნავა, გუჯაბიძე, ო. ჭილლაძე (ლომინაშვილი 46), თურმანიძე, მაზანიშვილი (სამხარაძე 72), ჩხაიძე, ჩომახიძე (სტეფანიშვილი 62), გოდერძიშვილი, ხაჭაპურიძე
მწვრთნელი: სპარტაკ არჩვაძე

ამერი: ნაჭყებია, კედელაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი, ელბაქიძე, სილაგავა, მჭედლიშვილი (შონია 67), დეკანოსიძე, სევასტოპულო (წინამძღვრიშვილი 77), დავითაშვილი, კაიდარაშვილი (გარუჩავა 79)
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

გაფრთხილება: კაიდარაშვილი (3), გოდერძიშვილი (18)

მსაჯები: ზ ანიაშვილი; გ. ჩიგოგიძე, ხ. გაგნიძე; პ. დოგრაშვილი

# აქა ვარ, ჩემო სულიკო
## დავითაშვილი გამტანიცაა და გამტანინებელიც

როცა 90 წუთი კიდევ სათამაშოა, გასულ-გავარდნილზე ლაპარაკიც ნაადრევია, მაგრამ ერთი კი შეგვიძლია თამამად ვთქვათ: „ამერი“ მერვედფინალში რომ ვერ გავიდეს, საპასუხო შეხვედრაში ან ძალიან ცუდად უნდა ითამაშოს, ან „ჩიხურა“ უნდა გადაახტეს საკუთარ თავს, თორემ ძალთა ის თანაფარდობა, რომელიც გუშინ საჩხერეში ვნახეთ, კითხვებს აღარ ტოვებს.

თამაში „ამერის“ სახიფათო იერიშით დაიწყო და პირველივე წამებზე მეკარე კონსტანტინე გუგუნავას ჯერ ალექსანდრე კაიდარაშვილის, მერე კი ვახტანგ ხვადაგიანის დარტყმების მოგერიება მოუხდა.

შემდეგ, 20 წუთის განმავლობაში, გამოსარჩევი არაფერი მომხდარა, 21-ე წუთზე კი ანგარიში გაიხსნა — დავით სევასტოპულომ ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს თავი დაჰკრა და გაიტანა, ოღონდ აქვე აუცილებლად უნდა ვთქვათ, პასი როგორ გაკეთდა: საჩხერელებს სულიკო დავითაშვილი კუთხურის ხაზთან ჰყავდათ მიმწყვდეული, მან კი როგორღაც მოახერხა, თავი დაიძვრინა და ნახსენები საგოლე პასი გააკეთა. საინტერესო ფაქტია: ამ სეზონში გამართულ სამივე მატჩში სევასტოპულომ თითო გოლი გაიტანა და სამივეჯერ დავითაშვილის პასით.

სტუმრად გატანილმა გოლმა, რაც სათასო შეხვედრაში განსაკუთრებით ფასობს, თბილისელებს თავდაჯერებულობა კიდევ უფრო განუმტკიცა და მასპინძელთა კართან კიდევ რამდენიმე მომენტი შეაქმნევინა. კარის წინ ისევ დავითაშვილის და ისევ სევასტოპულოსთვის განკუთვნილი მორიგი სახიფათო პასი მცველებმა ხაზიდან გამოიტანეს, რის მერეც დავითაშვილი უკვე კაიდარაშვილის მეკარესთან პირისპირ გაცვანას ეცადა, მაგრამ გუგუნავამ დასწრებაზე კარგად ითამაშა. ცოტა ხანში თავად დავითაშვილის თავური ხარიხას მოხვდა.

შესვენებამდე ჩიხურელთა იერიშებს მათთვის სასურველი გაგრძელება და დასასრული არ ჰქონდა და მხოლოდ ერთ ეპიზოდში იყვნენ მიზანთან ახლოს — ერთმანეთის იმედად მყოფმა გიორგი დავითნიძემ და ამირან კედელაშვილმა ირაკლი ხაჭაპურიძე ფაქტობრივად უპრობლემოდ შეატოვეს რევაზ ნაჭყებიას და საჩხერელის ძლიერად დარტყმული „ამერის“ მეკარის მოსაგერიებელი შეიქნა.

მეორე ტაიმში, თამაშის განახლებიდან 12 წუთში, „ამერმა“ მეორე გოლი გაიტანა. სულიკო დავითაშვილმა როგორც იქნა თავად აიღო მეტოქის კარი, გრძელი საგოლე პასი კი გიორგი დეკანოსიძემ მისცა.

ამ გოლმა თითქოს ყველაფერი საბოლოოდ გადაწყვიტა და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ თუ ამ მატჩში გოლი კიდევ გავიდოდა, ისევ ამერელებს უნდა გაეტანათ, თორემ მასპინძლები გვარიანად გუნებაწამხდარნი იყვნენ. მაგრამ პირიქით მოხდა. აუტის ხაზთან ხვადაგიანი დაჯარიმდა, მეკარის ბაქნის სიახლოვეს, შორეულ ძელთან ჩაწოდებულ ბურთს კი უმეთვალყურეოდ მიტოვებულმა გოდერძიშვილმა თავი შეაგება და სხვაობა ერთ ბურთამდე შეამცირა.

ამ გოლმა „ჩიხურას“ თამაშის გადარჩენის იმედი გაუღვივა, მაგრამ დარჩენილ დროში ველარაფერს გახდა.

ერთ ეპიზოდში, როცა გვერდითმა მსაჯმა საჩხერელი ფეხბურთელი თამაშგარეში შენიშნა და ალამიცააფრიალა, ტრიბუნიდან ვინმე ერასტი ბიძია დამცავ ბადესთან მიიჭრა და მსაჯი გინებით აიკლო. გული რომ ვერ იჯერა, მეოთხე მსაჯს, პაატა დოგრაშვილს დაუწყო გინება, „ჩიხურას“ სათადარიგო ვლადიმერ ზაბახიძემ კი დოგრაშვილი მკაცრად გააფრთხილა, ერასტი ბიძიას შეპასუხება არ გაუბედოო...

ბოლო წუთებზე ისევ „ამერს“ ჰქონდა მესამე გოლის გატანის უაღრესად ხელსაყრელი მომენტი — გიორგი დეკანოსიძე გუგუნავასთან პირისპირ გავიდა, კარში დარტყმაც შეეძლო, მაგრამ ბურთი თამაშგარეში მყოფ რატი წინამძღვრიშვილს გადააბარა, რომელმაც კი გაიტანა, მაგრამ გოლი, ცხადია, არ ჩაითვალა.

თამაშიც ასე დასრულდა და საჩხერელ გულშემატკივარს გოდერძიშვილის გოლის გარდა მხოლოდ ერთხელ მიეცა ალალად ტაშის დაკვრის საშუალება — როცა სტადიონზე გიორგი ასანიძის პლაკატი გამოფინეს.

**ბოტე ბებელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეინჯერსის მოწოდება: უშინაარსო ჩაწოდება

არველაძე-ხიზანიშვილის „რეინჯერსმა“ შინ ერთობ უფერულად ითამაშა მოსკოვის ცესკასთან და ახლა უეფას თასის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე მოუწევს თამაში, რათა ამ სეზონში უევროტურნიროდ არ დარჩეს, ჩემპიონთა ლიგაში კი ოდენ ერთი ქართველი ითამაშებს — მილანელი კახა კალაძე, ვინც გუშინ „ბარსელონასთან“ ითამაშა გამპერის თასზე.

„რეინჯერსის“ დამრიგებელმა ალექს მაკლიშმა კი პირწმინდად წააგო დუელი რუსთა თავკაც ვალერი გაზაევთან. მაკლიშმა ზურაბ ხიზანიშვილი სათადარიგოთა სკამზე დასვა და მის ნაცვლად ტრანსფერზე დაყენებული კრეიგ მური ათამაშა. ბევრ ეპიზოდში „რეინჯერსის“ დაცვა სასაცილოდ გამოიყურებოდა, მხოლოდ ჟან-ალენ ბუმსონგი თუ თამაშობდა რიგიანად. შოთა არველაძე კი მაკლიშმა პირველ ტაიმში ფაქტობრივად, მარჯვენა ნახევარმცველად გაამწესა. შოთა უშეცდომოდ თამაშობდა, მაგრამ ხშირად საკუთარ საჯარიმოშიც ნახავდით, როცა მცველის ფუნქციებს ასრულებდა. მეორე ტაიმში არველაძე თავდამსხმელების უკან გაამწესეს, თუმც ქანცგამოლეულ ქართველს საგოლე შანსი არ მისცემია. მთლიანობაში „რეინჯერსმა“ ძალიან უშინაარსო ფეხბურთი ითამაშა უაზრო ჩაწოდებებით — დადო პრსოსკენ გაფრენილ ბურთებს სულ მოსკოველები იგებდნენ — ცეესკამ მეტოქეზე უკეთ ითამაშა და დამსახურებულად გავიდა ლიგაში.

აღნიშვნის ღირსია კიევის „დინამოს“ ტრაბზონული გამარჯვება — გუნდში იოზეფ საბოს მწვრთნელად მისვლამ გაამართლა და დინამოელებმა თითქმის უიმედო მდგომარეობიდან ჩემპიონათა ლიგაში ამოჰყვეს თავი.

„იუვენტუსმა“ კი „იურგორდენს“ შვედეთში ჩაუტარა გაკვეთილი და თავისი ადგილი მიუჩინა, რაც ორი კვირის წინ ტურინში ვერ მოახერხა.

ევროპაში გუშინ ერთი მნიშვნელოვანი ამბავიც მოხდა — ლონდონის „არსენალმა“ ინგლისის პრემიერლიგის რეკორდი დაამყარა — ზედიზედ 43-ე წაუგებელი მატჩი ითამაშა და „ბლექბერნს“ 3:0 მოუგო.



შოთა არველაძეს ნახევარმცველობა გაუჭირდა

## ჩემპიონთა ლიგა 2004-2005

CHAMPIONS LEAGUE

### III საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) 1:0 პაოკი (საბერძნეთი) (3:0)
1:0 კოენი (7)

ტრაბზონი (თურქეთი) 0:2 დინამო (კიევი, უკრაინა) (2:1)
0:1 გავრანჩიჩი (7), 0:2 რინკონი (28)

სპარტა (ჩეხეთი) 2:0დ.დ.(1:0) ფერენცვაროში (უნგრეთი) (0:1)
1:0 ზელენკა (45), 2:0 ჰომოლა (114)

პსვ (ჰოლანდია) 5:0 ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) (2:3)
1:0 ვან ბომელი (9პენ.), 2:0 ბესლი (32), 3:0 ვან ბომელი (56), 4:0 დე იონგი (57), 5:0 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (80)

ბრიუგე (ბელგია) 2:2 შახტარი (უკრაინა) (1:4)
0:1 ვუკიჩი (5), 1:1, 2:1 ჩეხი (14, 34პენ), 2:2 ვუკიჩი (52)

იურგორდენი (შვედეთი) 1:4 იუვენტუსი (იტალია) (2:2)
0:1 დელ პიერო (10), 1:1 არნენგი (19), 1:2 ტრეზეგე (34), 1:3 ნედვედი (54), 1:4 ტრეზეგე (86)

ბანიკი (ჩეხეთი) 2:1 ლევერკუზენი (გერმანია) (0:5)
1:0 პაპადოპულოსი (38), 1:1 ბერბატოვი (77), 2:1 ჟურეკი (82)

რეინჯერსი (შოტლანდია) 1:1 ცსკა (რუსეთი) (1:2)
0:1 ვაგნერი (61), 1:1 ს. ტომპსონი (88)
რეინჯერსი: კლოსი, რიკსენი, მური, ბუმსონგი, ვინალი, არველაძე, ჰიუზი, მლადენოვიჩი (ენდრიუსი 81), ლოვენკრანდსი (ტომპსონი 64), პრსო, ნოვო
ზურაბ ხიზანიშვილი სათადარიგო იყო

მანჩესტერი (ინგლისი) 3:0 დინამო (ბუქარესტი, რუმინეთი) (2:1)
1:0, 2:0 სმიტი (47, 50), 3:0 ბელიონი (70)

რეალი (ესპანეთი) 3:1 ვისლა (პოლონეთი) (2:0)
1:0, 2:0 რონალდო (3, 31), 3:0 პავონი (85), 3:1 გორავსკი (89)



რონალდომ „ვისლა“ მადრიდიდან ორი გოლით გაისტუმრა



გამპერის თასი „ბარსელონას“ მესამე კაპიტანმა ხავიმ ასწია



ტიერი ანრიმ და „არსენალმა“ პრემიერლიგაში სარეკორდო 43 თამაში მოიგეს

## ინგლისი

პრემიერლიგა. III ტური

არსენალი 3:0 ბლექბერნი
ფულემი 0:2 მიდლსბრო
საუთჰემპტონი 1:2 ბოლტონი
ვესტ ბრომვიჩი 1:1 ტოტენჰემი
ჩარლტონი 3:0 ასტონ ვილა
ნიუკასლი 2:2 ნორვიჩი

ლიგის თასი

I ეტაპი

ბრედფორდი 1:2 დ.დ. (1:1) ნოტსი
ძოვენთრი 4:1 ტორკი
ნოტინგემი 2:0 სკანთორპი
უენსდი 1:0 უოლსოლი
ოძფორდი 0:2 რედინგი
ბოსტონი : ლუტონი
გადაიდო

## შოტლანდია

ლიგის თასი

II ეტაპი

დანდი იუნ. 3:1 სტრანრარი
სტირლინგი 0:2 ლივინგსტონი

## გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

V ტური

კიოლნი (მ) 0:0 პადერბორნი
ჰერტა (მ) 0:2 ფორტუნა
ურდინგენი 0:0 ლიუბეკი
ბრაუნშვაიგი 3:1 ვერდერი (მ)
ჰამბურგი (მ) 1:0 ზტ. პაული
ოსნაბრიუკი 1:0 უნიონი

სამხრეთ რეგიონალლიგა

III ტური

ვეენი 2:2 ჰოფენჰაიმი
აუგსბურგი 3:2 ბაიერნი (მ)
მაინცი (მ) 1:1 შტუტგარტი (მ)
აალენი 1:3 ზიგენი

## შვეიცარია

სუპერლიგა. II ტური

იანგ ბოიზი 1:1 გრასჰოპერი

## რუსეთი

პრემიერლიგა.

გადადებული მატჩი

როტორი 0:2 შინიკი

## ჩეხეთი

გამბრინუსლიგა

ტეპლიცე 2:1 ზლინი

## გამპერის თასი

ბარსელონა 2:1 მილანი

0:1 სერჟინიო (13), 1:1 ჟიული (34), 2:1 ინიესტა (68)
ბარსელონა: ვალდესი, ბელეტი (გაბრი 70), ოლეგერი, მარკესი (ნავარო 87), ვან ბრონკჰორსტი (სილვინიო 63), ხავი, მოტა (ედმილსონი 53), დეკო, ჟიული, ეტოო, ლარსონი (ინიესტა 53)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
მილანი: დიდა, კაფუ, კოსტაკურტა (ნესტა 42), მალდინი (გატუზო 45), კალაძე, ბროკი, რუი კოშტა (ამბროზინი 45), დორასო (აბატე 69), კაკა, ტომასონი (პოცი 69), სერჟინიო
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge